წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვირა, 27 ნოემბერი 1932 წ. № 274 (3528)

სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრალური ამოცანა

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ სოციალისტური მიწადმოქმედების განვითარების საქმეში. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის, საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების, და სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ბუმბერაზული ზრდის შედეგად, ჩვენ კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ სათესი ფართობის ომამდე არსებული დონე. 1913 წელთან შედარებით მთელს საბჭოთა კავშირში სათესი ფართობი გაიზარდა 30 მილიონი ჰექტარით. ეს ზრდა განსაკუთრებით მიმდინარეობდა ტექნიკური და მარცვლეული კულტურების ხარჯზე.

მიუხედავად კულაკებისა და მისი აგენტურის — მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგობისა, მიუხედავად კონდრატიევ - ჩაიანოვის ტიპის რეაქციონერ - მავნებელთა მუშაობისა და მთელი რიგი სიძნელეებისა, ჩვენ სათესი არეს გადიდებით წარმატებით შევასრულეთ სოფლის მეურნეობის განვითარების პირველი სტადიის ამოცანა.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სათესი არეს გადიდებით. ჩვენს უმთავრეს ამოცანას ამჟამად წარმოადგენს ბრძოლა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის სოფლის მეურნეობაში: „**დადგა დრო, როცა მეურნეობის ზრდიდან სათესი ფართობის გადიდების გზით, საჭიროა მობრუნება ბრძოლისაკენ მიწის უკეთ დამუშავებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის, როგორც მთავარი და ცენტრალური ამოცანებისაკენ სოფლის მეურნეობის დარგში განვითარების ახლანდელ საფეხურზე**". (საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებიდან).

მძიმე ინდუსტრიის დამკვრელი ტემპით განვითარება, ქიმიური და მინერალური სასუქების მრეწველობის შეუჩერებელი ზრდა, სოფლის მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება და მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების უპირატესობანი სრულ შესაძლებლობას გვაძლევს ერთი-ორად გავადიდოთ მოსავლიანობა ყველა კულტურის ხაზით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლას საქართველოში, რადგანაც ჩვენ განვიცდით სახნავ-სათესი მიწის მწვავე დეფიციტს. ამავე დროს ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს ტექნიკური კულტურებისა და პროდუქტიული მეცხოველეობის რაიონს. ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესებით და აგროტექნიკის დაუფლებით შეგვიძლია მივაღწიოთ საგრძნობ სამეურნეო ეფექტს როგორც მიწადმოქმედებაში, ისე მეცხოველეობაში.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ჩვენში დღემდე არ სწარმოებდა გეგმიანი და სისტემატიური მუშაობა. აგროტექნიკის მიღწევების პრაქტიკულად გამოყენების საქმეში ჩვენ დიდად ჩამოვრჩით სათესი ფართობის გადიდების ტემპებს. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მარცვლეული კულტურების რაიონებში ვხედავთ ხორბლის და ქერის მოსავლიანობის შემცირების ფაქტებს. ეს უმთავრესად აიხსნება ნიადაგის ცუდი დამუშავებით და ნათესების ცუდი მოვლით. მიმდინარე წლის ზაფხულში შირაქში, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ ერთ ჰექტარზე დაახლოებით აიღო 100—120 ფუთი ხორბლეული, მაშინ, როდესაც იმავე საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთის გვერდით ქედის კომუნამ ძლივს შესძლო 35—40 ფუთი მოსავლის აღება.

მოსავლიანობის შემცირების მხრივ ჩვენ კიდევ უფრო ცუდი სურათი გვაქვს **ტექნიკურ კულტურათა ხაზით.** პირველ რიგში ეს ითქმის **თამბაქოს** შესახებ. მაგ. აფხაზეთში 1928 წელთან შედარებით თამბაქოს სათესი არე გადიდდა 40—42 პროცენტით, ხოლო თამბაქოს პროდუქცია 8183 ტონიდან შემცირდა 6.000 ტონამდე. გაუარესდა თამბაქოს ხარისხიც.

ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ ჩაის კულტურის გავრცელების დარგში. **ჩაის** მოსავლიანობის მხრივ კი კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით. ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა ჩვენში ერთ ჰექტარზე არ აღემატება 1.400 კილოგრამს, მაშინ, როდესაც ცეილონსა და ინდოეთში საშუალო მოსავალი ჰექტარზე 3.000—3.500 კილოგრამს აღწევს, ხოლო იაპონიაში—6.000 კილოგრამს აღემატება.

ეს მდგომარეობა გვავალებს მობილიზაცია უყოთ მთელ ძალებს მოსავლიანობის გადიდების ირგვლივ. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცეკა ავალებს სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციებს და მუშაკებს **„ყურადღება მიაქციონ უკლებლივ ყველა კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრალურ ამოცანას ამჟამად".**

ა.-კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, — წარმოადგენს ფართო პროგრამას მოსავლიანობის გადიდებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გასაშლელად. ეს დადგენილება იძლევა ამომწურავ მითითებებს იმ ზომების შესახებ, რომელნიც უნდა გატარდეს ამიერ-კავკ. ცალკე რესპუბლიკების მიერ სხვადასხვა კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ა.კ. სახკომსაბჭო და სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტექნიკური და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, რისთვისაც აუცილებელ საჭიროთაა მიჩნეული: კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მტკიცე საწარმოო-საფინანსო გეგმების დროზე შედგენა, წესიერი თესლთა ბრუნვის შემოღება, მეთესლეობის მეურნეობათა განმტკიცება, მიწის მავნებლებთან გეგმიანი ბრძოლა, სასუქის შეტანის გაძლიერება და სხვ.

მოსავლიანობის გადიდების მიზნით გატარებული ყოველგვარი აგროტექნიკური ღონისძიებანი მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას. „ვინც ცდილობს განიხილოს აგროტექნიკა და აგროტექნიკური ღონისძიებანი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისა და კლასობრივი ბრძოლისაგან განცალკევებით, ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს მოსავლიანობის გადიდების საქმეში". („პრავდა")

სამანქანო -სატრაქტორო სადგურებმა ორგანიზატორის როლი უნდა ითამაშონ მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მხოლოდ ხვნის გეგმების შესრულებით კმაყოფილდებოდნენ. როგორც ს.კ.პ. (ბ) ცეკას და საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებაში აღნიშნული, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები უნდა გადაიქცნენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებად არა მარტო სატრაქტორო ტექნიკის, არამედ აგრონომიის გამოყენების დარგშიც.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანიზაციები მთავრობისა და პარტიის უმაღლეს ორგანოთა დირექტივების საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ კონკრეტულ ღონისძიებათა დამუშავებას მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ რაიონს, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას და სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ქონდეს მოსავლიანობის გადიდების კონკრეტული გეგმა ყველა კულტურების მიხედვით.

მობილიზაცია უყოთ კოლმეურნეთა, ღარიბ, საშუალო გლეხთა მასებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, გავტეხოთ კლასობრივი მტრებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგობა, ბოლშევიკურად დავეუფლოთ აგროტექნიკას და უზრუნველვყოთ მოსავლიანობის გადიდება.

ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალების შემსწავლელ კონფერენციაზე

ლენინგრადი, 25 ნოემბერი. სამეცნიერო აკადემიის ა.-კ. ფილიალის სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა მეშჩანინოვმა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა ამიერ - კავკასიის სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ ადამიანის, როგორც მწარმოებელი ძალის, შესწავლის ერთიანი გეგმის შემუშავების საჭიროებაზე და მიუთითებს ადამიანის და ენის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდიკაზე.

შემდეგ აკადემიკოსი მეშჩანინოვი შეეხო ამიერ-კავკასიის მუზეუმების მუშაობის გარდაქმნის საკითხს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებენ ახლანდელ მოთხოვნილებებს.

ამხ. მეშჩანინოვის მოხსენების ირგვლივ გაშლილ კამათის დროს გამოვიდა ამხ. გოლკოვი (ამიერ-კავკასია), რომელმაც აღნიშნა, თუ რა თვალსაზრისით უნდა იქნას შესწავლილი ადამიანი, როგორც მწარმოებელი ძალა. კავკასია ამ პრობლემისათვის მეტად მდიდარ მასალას იძლევა.

პროფესორმა ვინოგრადოვ-ნიკულინმა (ამიერ-კავკასია) მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამიერ-კავკასიის მუზეუმებში სრულიად არ არის გამოფენილი პირველყოფილი ადამიანის საწარმოო მუშაობა, არ არის ნაჩვენები, თუ როგორ დაიმორჩილა ბუნება პირველყოფილმა ადამიანმა.

დაშქესანის მეტალურგიული ქარხნის აშენების საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა შაპოშნიკოვმა, ამიერ-კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის, თვალსაჩინო ადგილი უკავია დაშქესანის, რკინის მადნის საბადოს. მას შეუძლია მოგვცეს 90-100 მილიონი ტონა მაღალხარისხოვანი რკინა, რომლის ზოგიერთი ხარისხი სავსებით გამოსადეგია ბესემერის ფოლადის წარმოებისათვის. ამიერ-კავკასიის მეტალურგიას შეუძლია დაეყრდნოს ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის და ბაქოს კოქსს (ნარჩენები). ბაქოს მრეწველობის განვითარება მოითხოვს დიდძალ ლითონს და ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს დაშქესანის ქარხანამ.

25 ნოემბერს კონფერენციამ მოისმინა აკადემიკოს ფერსმანის მოხსენება ამიერ-კავკასიის გეო-ქიმიის შესახებ და გლუშკოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ძირითადი პრობლემების შესახებ. (ადს)

ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

პირველი ხუთწლედის შედეგად ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მიღწეულია უდიდესი წარმატებანი. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 41 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 300 ერთეულამდე აღწევს, მოქმედებს 49 მანქანო-სატრაქტორო სადგური, საგრძნობლად გავრცელდა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორთა პარკის სიმძლავრემ 1932 წელს მიაღწია 54.000 ცხ. ძალამდე, ტექნიკური კულტურების სათესი ფართობი 2 ნახევ. ჯერ გადიდდა ომის წინა დროსთან შედარებით, თვალსაჩინოთ გაფართოვდა სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების, ზონალური სადგურების უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, ტექნიკუმების და სხვ. ქსელი; საგრძნობი წარმატებებია მიღწეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების საქმეში და სხვ.

ამასთან ერთად, ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავენ სოფლის მეურნეობის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების, პირველ რიგში, მოსავლიანობის სისტემატიურად ჩამორჩენას უკანასკნელ წლების განმავლობაში. მოსავლიანობის საკითხებისადმი სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოების (მიწსახკომები, კოლმეურნეობათა ცენტრები, სატრაქტორო ცენტრები, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტები) უყურადღებო დამოკიდებულების მეოხებით უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ძირითად კულტურების მოსავლიანობის საგრძნობლად შემცირებას (ბამბის—სომხეთის ს.ს. რესპუბლიკაში, თამბაქოს—საქ. ს.ს. რესპუბლიკაში, მარცვლეულის—ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში მთლიანად).

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი, რომელნიც სრულიად დაუშვებლად თვლიან ასეთ მდგომარეობას და, მხედველობაში იღებენ, „რომ უკვე დადგა დრო, როცა მეურნეობის გაფართოებიდან სათესი ფართობის გადიდების გზით საჭიროა გადავიდეთ მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაზე, როგორც მთავარ და ცენტრალურ ამოცანაზე სოფლის მეურნეობის დარგში მისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე". (ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება), ადგენენ:

1. დაწესდეს 1933 წლისათვის მარცვლეულის შემდეგი სათესი ფართობები (ათასი ჰექტ.):

	აზ.სსრ	სომხ.სსრ	საქ.სსრ.	ა.-კ.სფსრ
1) ტექნიკური კულტურები	209,5	36,3	50,8	296,6
მათ შორის ბამბა	191,2	23,8	18,0	235,0
თამბაქო	3,6	2,5	18,0	23,6
2) საბოსტნე და საბაღჩე კულტ.	50,5	18,5	39,3	108,3
3) მარცვლეული (საგაზაფხ.)	122,0	245,4	518,2	885,6
4) პირუტყვის საკვები	43,2	26,7	36,9	106,8

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს და კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს და ამიერ-კავკ. მიწსახკომს:

ა) უზრუნველყონ 1933 წლის 1 იანვრამდე საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა;

ბ) 1932 წლის 15 დეკემბრისათვის დაამთავრონ მოსამზადებელი მუშაობა კოლმეურნეობათა 1933 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესადგენად იმ ანგარიშით, რომ გეგმების შედგენა და განხილვა კოლმეურნეობებში დამთავრდეს არა უგვიანეს 1933 წლის 1 თებერვლისა;

გ) 1933 წლის 1 იანვრისათვის დაამთავრონ სანიმუშო სარაიონო თესლბრუნვის დამუშავება, პირველ ყოვლისა, მებამბეობის, მეთამბაქოეობის და მეცხოველეობის რაიონებში, უზრუნველყონ 1933 წლის 1 თებერვლამდე მისი ფართოდ განხილვა საწარმოო თათბირებზე საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში; გამოიმუშაონ კონკრეტული თესლბრუნვა თვითეულ საწარმოო ერთეულისათვის და უზრუნველყონ მათი გატარება ნატურით.

თესლბრუნვის შემოღების დროს გათვალისწინებულ იქნას მარცვლეული და პირუტყვის საკვები კულტურების გაფართოება, განსაკუთრებით ონჯის გაფართოება მებამბეობის რაიონებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხებს—მიწადმოწყობის სამუშაოებს, რომლებიც ტარდება კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით.

3. რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა და კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტებმა უზრუნველყონ სათესლე ფონდების შევსება, და შენახვა კოლმეურნეობებში და სათესლე და დაზღვევის ფონდების — კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში თვითეულ რესპუბლიკისათვის დაწესებული რაოდენობით. შეიმუშაონ ისეთ ღონისძიებათა სისტემა, რომელნიც უზრუნველყოფენ სათესლე და დაზღვევი ფონდების თავის დროზე შეგროვებას 1933 წლის მოსავლიდან, მათ სათანადოთ შენახვას და პერიოდულად განახლებას, აგრეთვე თავის დროზე დაბრუნებას ამ ფონდიდან სესხის მიღების შემთხვევებში.

4. ამიერ-კავკ. მიწსახკომმა და რესპუბლიკების მიწსახკომებმა ერთი თვის ვადაში დაამუშაონ და წარუდგინონ ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს სოფლის მეურნეობის აგრო-საწარმოო მომსახურების ორგანიზაციის გეგმა, ამასთანავე მხედველობაში მიიღონ პირველი აგრარული ქსელის განმტკიცება და სარაიონო სამიწადმოქმედო განყოფილებათა ხელმძღვანელი როლის გაძლიერება.

5. დაევალოს რესპუბლიკების მიწსახკომებს:

ა) ერთი თვის ვადაში დაამთავრონ სახელმწიფო სადგურების მოწყობა, უზრუნველყონ ისინი საჭირო მიწის ნაკვეთით და დასაყრდენი პუნქტების ქსელით, აგრეთვე ცალკე განიხილონ 1933 წლის სამუშაოთა გეგმა სელექციის, ჯიშების გამოცდის და პირველი რეპროდუქციის თესლის წარმოების დარგში.

ბ) 1933 წლისათვის მეთესლეობის, თესლის ხარისხის გამოცდის და ხარისხოვანი ნათესების ხაზით ერთი თვის ვადაში გადაათვალიერონ მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ქსელი, შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეთესლეობის განვითარებას კოლმეურნეობებში, მოაწყონ ყოველი სახის თესლის (პირველი, მეორე და მესამე რეპროდუქციის ელიტური მასალის) პროდუქციის შემოსავლის და ხარჯვის აღრიცხვა, ცალკე დაამუშაონ 1933 წლისათვის სახელმწიფო სათესლე ხარისხოვანი ფონდის ორგანიზაციის გეგმა;

გ) მიიღონ ზომები მინერალური სასუქის 1933 წელს შემოსაზიდი კონტინგენტის განაწილებლად ცალკე ორგანიზაციებს შორის, უზრუნველყონ სამეურნეო ორგანიზაციებსა და მინერალური სასუქის საკავშირო გაერთიანებას შორის ხელშეკრულებების დადება შემოსაზიდ მინერალურ სასუქზე, აგრეთვე სასუქის დროულად გადაზავნა მომხმარებელ ადგილზე და სასუქების ავების დამთავრება სასუქის მიღების დროისათვის.

6. აღინიშნოს მავნებლებთან მებრძოლ საზოგადოებათა სისტემის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ბამბის მავნებლებთან (კალიის გარდა) და საბაღე და საბოსტნე კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ორგანიზაციის მხრივ და დაევალოს ამიერ-კავკ. მიწსახკომს და რესპუბლიკების მიწსახკომებს ორი დეკადის ვადაში შეიმუშაონ სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა, ამასთანავე გაითვალისწინონ სამუშაოთა ორგანიზაცია და მოცულობა, ცალკე გასატარებელ ღონისძიებათა ეფექტიურობა, ურთიერთობა სამეურნეო ორგანოებსა და მავნებლებთან მებრძოლ საზოგადოების სისტემას შორის, ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობა, მათი დროულად დადება და სხვ.

7. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობაში უმთავრესი ყურადღება მიექცეს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ამოცანებს, დაექვემდებაროს ამ ამოცანებს მიმდინარე საწარმოო მუშაობა და კონკრეტულად გარდაქმნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა იმგვარად, რომ „სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გადაიქცენ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებად არა მარტო სატრაქტორო ტექნიკის გამოყენების სფეროში, არამედ აგრონომიის სფეროშიაც". დაევალოს ა.-კ. მიწსახკომს, რესპუბლიკების მიწსახკომებს და სატრაქტორო ცენტრებს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ ისეთ ღონისძიებათა სისტემა, რომელნიც უზრუნველყოფენ როგორც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის (ხვნა, დამუშავება, რემონტი, სათადარიგო ნაწილებით მომარაგება და სხვ.) ხარისხის გაუმჯობესებას, ისე მათი მუშაობის სწორ ორგანიზაციულ წყობას რაიონში.

8. ა.-კ. მიწსახკომმა და რესპუბლიკათა მებამბეობის კომიტეტებმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებანი ბამბის მოსავლიანობის გასადიდებლად, მიიღონ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ 1932 წლის შემოდგომაზე ბამბის ფართობის მზრალად მოხვნის და საზამთრო არატის გეგმა შესრულდეს შემდეგი რაოდენობით (ათას ჰექტ.):

	აზ.სსრ	სომხ.სსრ	საქ.სსრ	ა.-კ.სფსრ
მზრალად მოხვნა	137,5	7,5	8,0	153,0
საზამთრო არატი	96,4	6,0	5,7	108,1

9. საქართველოს მიწსახკომმა და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-მ 1932 წლის 20 დეკემბრისათვის შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების, მათი რემონტის და მოვლის ხაზით.

10. საქართველოს მიწსახკომმა აფხაზეთის მიწსახკომთან ერთად 1933 წ. 1-ლ იანვრისათვის შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად (სათიბურების და სანერგეების მეურნეობის ორგანიზაცია, თესლბრუნვის და ქიმიზაციის შემოღება და სხვ.).

11. ა.-კ. მიწსახკომმა და რესპუბლიკების მიწსახკომებმა:

ა) ერთი თვის ვადაში შეადგინონ სარაიონო აგრომინიმუმები მეხილეობის, მევენახეობის და თუთის ნარგავებისათვის (აღდგენა, გაახალგაზრდავება, ხელახალი აღრა, მოვლა, წამლობა და სხვ.). უზრუნველყონ აგრომინიმუმების დაყვანა კოლმეურნეობამდე და სოფლამდე, მათი დამუშავება ფართო საწარმოო თათბირებზე და ცხოვრებაში გატარება;

ბ) დაუყოვნებლივ მოაწყონ ყველა ერთწლოვან კულტურებისათვის მიღებულ სარაიონო აგრომინიმუმთა გადათვალიერება, შეიტანონ მათში საჭირო შესწორებები და ცვლილებები, შეუთანხმონ ისინი თესლბრუნვას, რომლებიც მუშავდება რაიონებისათვის, და დაამთავრონ მუშაობა არა უგვიანეს 1933 წლის 15 იანვრისა.

12. დაევალოს ა.-კ. მიწსახკომს და რესპუბლიკების მიწსახკომებს 1933 წელს უზრუნველყონ მარცვლეული სათესლე მასალის 100 პროცენტით გაწმენდა, მთელი დაჯიშებული სათესლე მასალის 100 პროცენტით შეწამვლა, მწკრივად თესვის მაქსიმალურად გავრცელება და თესვის წინ მიწის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება.

13. რესპუბლიკების მიწსახკომებმა 1933 წლის 1 იანვრისათვის შეიმუშაონ პირუტყვის საკვები ნათესების ფართობის (ბალახის თესვა, სასილოსე ნათესები, საკვები ძირხვენები) გადიდების სარაიონო გეგმა და ღონისძიებანი მათი მოსავლიანობის გასადიდებლად საკუთარი სათესლე ბაზის შექმნის გათვალისწინებით, აგრეთვე ბუნებრივი გამოსადეგი მიწების პროდუქციის გადიდების, საძოვრების და სათიბების რაციონალურად გამოყენების გეგმა.

14. ა.-კ. მიწსახკომმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ღონისძიებათა სისტემა ონჯის საკუთარი სათესლე ბაზის მოსაწყობად, ონჯის თესლის მოსაყვანად საბ. მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და წარუდგინოს ა.-კ. სფსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

სამეცნიერო - საგამოკვლევო დარგი.

სამეცნიერო-საგამოკვლევო დარგში

15. ა.-კ. მიწსახკომმა, რესპუბლიკების მიწსახკომებმა და ლენინის სახელობის სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ამიერ - კავკასიის განყოფილებამ: ა) ერთი თვის ვადაში მოიყვანონ სისტემაში და გამოაქვეყნონ სამეცნიერო - საგამოკვლევო სამუშაოთა შედეგები აგრო-ტექნიკის საკითხებზე;

ბ) გადაათვალიერონ სამეცნიერო - საგამოკვლევო ორგანიზაციათა ქსელის მუშაობის პროგრამა, უმთავრესი ყურადღება მიაქციონ აგროტექნიკის საკითხს (თესლბრუნვა, სელექცია, თესლის ხარისხის გამოცდა და მეთესლეობა, სასუქი, სასოფლო სამეურნეო წარმოების მექანიზაცია, წვრილი სარწყავი არხების ქსელის ექსპლოატაცია, წყლით სარგებლობა, მორწყვის ნორმები და სხვ.).

გ) უზრუნველყონ სამეცნიერო - საგამოკვლევო ორგანიზაციები დასაყრდენ პუნქტების საკმაო ქსელით, პუნქტების მუშაობა აგროპერსონალის მეშვეობით შეუთანხმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს;

დ) 1933 წელს მთავარი ყურადღება მიაქციონ სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების, ზონალური სადგურების და დასაყრდენი პუნქტების მუშაობის ხარისხის საკითხს, როგორც უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

საჭიროდ ჩაითვალოს მარცვლეულის ზონალური სადგურის მოწყობა 1933 წელს ორჯონიკიძის სახელობის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში.

16. რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მიწსახკომებმა გაშალონ მასიური საგიტაციო მუშაობა აგროტექნიკის გასავრცელებლად კოლმეურნეობებში, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, პერიოდულად გააშუქონ რესპუბლიკანურ და რაიონულ პრესაში მოსავლიანობის გადიდების საკითხები, მოაწყონ მოსავლიანობის გადიდების საკითხის განხილვა საწარმოო თათბირებზე, ფართოდ გამოიყენონ კინო, რადიო-გადაცემა და დიდი მოსავლის საგუშაგოები.

შემოიღონ გარდამავალი დროშები ცალკე რაიონებისა და კოლმეურნეობების მიერ დიდი მოსავლიანობის მიღწევებისათვის. შეიმუშაონ და გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებანი სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების და ზონალური სადგურების გამოსაყენებლად სამეცნიერო მიღწევების და მათი ეფექტიურობის, პოპულარიზაციისათვის, პოპულარული ბროშურების, პლაკატების, ფურცლების და სხვ. რეგულიარულად გამოცემის გზით.

17. ა.-კ. მიწსახკომმა და რესპუბლიკების მიწსახკომებმა განსაკუთრებულად მიაქციონ ყურადღება მასიური ძირეული კადრების მომზადების საქმის დაყენებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში, განსაკუთრებით— მომზადების ხარისხს, მაქსიმალურად გამოიყენონ ამ მიზნისათვის ზამთრის თვეები. ორი დეკადის ვადაში შეადგინონ ყველა სისტემებში, გაერთიანებებში და ორგანიზაციებში მასიური კადრების მომზადების გეგმა. გაითვალისწინონ ამისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით, აგრეთვე სამეურნეო ორგანოების და თვით მოსახლეობის საშუალებებიდან.

18. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ავალებს ყველა საბჭოთა, პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელნიც მუშაობენ ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის დარგში, წარმართონ თავიანთი მუშაობა მოსავლიანობის გადიდებისაკენ, რომელიც ამჟამად წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრალურ ამოცანას.

რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა და ცენტრალურმა კომიტეტებმა დეკადის ვადაში უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში „მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ", საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების და ამ დადგენილების დამუშავება, დარაზმონ კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო მეურნე გლეხთა ფართო მასები მოსავლისათვის საბრძოლველად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცალკე კულტურებს და ჯიშებს (ეგვიპტის ბამბა, სამსუნის თამბაქო, ზოგიერთი ჯიშის ყურძენი). შეათანხმონ ეს საკითხები მიმდინარე საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის კონკრეტულ ამოცანებთან და 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის მოსამზადებელ სამუშაოებთან.

ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მუსაბეკოვი.**
საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წლ. 16 ნოემბერი.

◆◆◆

საზღვარ-გარედ

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მზადდება ნიადაგი პრეზიდიალური მთავრობის შესადგენად

ბერლინი, 25 ნოემბერი. ჰინდენბურგმა მიიღო ცენტრის პარტიის ბელადი კაასი და დაავალა მას კვლავ შეეცადოს შექმნას ისეთი მთავრობა, რომელიც დაეყრდნობოდა პარლამენტის უმრავლესობას. ერთსადაიმავე დროს ჰინდენბურგის სტატსმდივანი **მეისნერი** აწარმოებდა მოლაპარაკებას ნაციონალისტების ბელადებთან და ბავარიის სახალხო პარტიის ხელმძღვანელ—**შეფერთან.** გაზეთების გადმოცემით, კაასი დაიწყებს მოლაპარაკებას ყველა მთავარ პარტიებთან, მათ შორის ნაციონალ-სოციალისტებთანაც. გაზეთების უმრავლესობის აზრით, კაასისათვის მთავრობის შედგენის მინდობას აქვს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა და რომ მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდება ყოველგვარი ცდა შექმნან მთავრობა პარლამენტის საფუძველზე, დაინიშნება პარლამენტისაგან დამოუკიდებელი პრეზიდიალური მთავრობა.

გაზეთების გადმოცემით, თავის მხრივ **ჰიტლერს** ჰქონდა საუბარი სხვადასხვა პარტიების ბელადებთან, მათ შორის ბავარიის სახალხო პარტიის ბელად შეფერთან და ნაციონალისტების ბელად **ჰუგენბერგთან** (ადს).

ბერლინი, 25 ნოემბერი. ცენტრის პარტიის ბელადი **კაასი** 25 ნოემბერს აწარმოებდა მოლაპარაკებას იმ პარტიების ყველა ბელადებთან, რომელთა შეყვანაც განზრახულია ნაციონალური კონცენტრაციის მთავრობაში. კაასის საუბარმა ჰიტლერთან ორ საათს გასტანა. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ის სიტყვით, ამ საუბრის დროს კაასი შეეხო არა მარტო საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის საკითხს, არამედ ისეთი პრეზიდიალური მთავრობის შექმნის საკითხსაც, რომელსაც მხარს დაუჭერდნენ ძირითადი ბურჟუაზიული პარტიები (ადს).

ჰიტლერსა და პაპენის მთავრობას შორის არ არის პროგრამული უთანხმოება

ბერლინი, 25 ნოემბერი. **ჰიტლერის** უკანასკნელი წერილები **ჰინდენბურგისადმი** ყურადღებას იპყრობენ იმ მხრივ, რომ არც ერთ მათგანში ჰიტლერი არ ამბობს, რომ პაპენის მთავრობასა და მის შორის ადგილი ჰქონდეს რაიმე პროგრამულ უთანხმოებას. რეიხსტაგის თავმჯდომარემ ნაციონალ-სოციალისტმა **გერინგმა** პრესის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ყოველგვარ მთავრობას, რომელიც არ იქნება შედგენილი ჰიტლერის ხელმძღვანელობით, ნაციონალ-სოციალისტები სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ (ადს).

ბერლინი, 25 ნოემბერი. კომუნისტური „როტე ფანე" იმ გარემოებას, რომ ჰინდენბურგმა უარი სთქვა დაევალოს ჰიტლერს მთავრობის შედგენა, ხსნის გერმანიის ბურჟუაზიის შიშით, რომ ჰიტლერის ჩადგომა ხელისუფლების სათავეში უფრო გააღრმავებს და გააფართოვებს რევოლუციურ მოძრაობას (ადს).

ლოზანის შეთანხმებას ჩაშლა მოელის

ლონდონი, 25 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის საპარლამენტო წრეებში გავრცელებულია აზრი, რომ ლოზანის შეთანხმების რატიფიკაციას საფრთხე მოელის. თუ არ იქნა მიღწეული დამაკმაყოფილებელი შეთანხმება შეერთებულ შტატებთან, ეჭვს გარეშეა, რომ საჭირო გახდება რეპარაციების და სამხედრო ვალების საკითხების ხელახლად დასმა, რომლებსაც ევროპის სახელმწიფოები — კრედიტორები ლოზანაში ამოწურულად სთვლიდენ. არავის არა აქვს განზრახვა შექმნას ევროპის მთლიანი ფრონტი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნდობის პაქტის თანახმად, ევროპის სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს ყველა ის ნაბიჯები, რომლებსაც ისინი გადადგამენ ლოზანის შეთანხმებიდან გამომდინარე საკითხების გამო. 28 ნოემბერს შესდგება მინისტრთა საბჭოს სხდომა (ადს).

ლონდონი, 25 ნოემბერი. ინგლისის პრესა, რამდენიმე გაზეთის გამოკლებით, თავდაჭერილობას იჩენს იმ განცხადების გამო, რომლითაც გამოვიდა **ჰუვერი** ვალების საკითხზე. ოფიციალურ წრეებში ჰუვერის განცხადება არ მიაჩნიათ საბოლოოდ. ოფიციალური წრეები აღნიშნავენ, რომ მთავრობა დაუყოვნებლივ [illegible] ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალ ნოტას, რომელშიაც საკმაოდ იქნება დასაბუთებული ინგლისის თხოვნა გადასახდელის შეტანის ვადის გაგრძელების შესახებ (ადს).

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს იმედი გაუცრუვდათ

პარიზი, 25 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს:

„ჰუვერის გადაწყვეტილებამ აშკარად გაუცრუა იმედები პოლიტიკურ წრეებს. პარლამენტის მოღვაწეები ერთსულოვნად იმ აზრის არიან, რომ მხედველობაშია მისაღები ის მოტივები, რომლებზედაც მიუთითებენ ევროპის მთავრობები თავიანთ მიმართვაში ვალების საკითხის გადაწყვეტის შესახებ. პარტიათა დეპუტატები ერთსულოვნად ფიქრობენ, რომ მოლაპარაკების გაგრძელებით შესაძლებელი გახდება მიღწეულ იქნას საკითხის სამართლიანად მოგვარება. ამ წრეებში იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკა, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავისი საშინაო სიძნელეები აქვს, ალბად არ გასწევს რისკს გაუარესოს თავისი მდგომარეობა და გაამწვავოს ამჟამად მსოფლიოში არსებული მძიმე მდგომარეობა ევროპის მორალური და მატერიალური შესაძლებლობისათვის ანგარიშის [illegible] (ადს).

პოლონეთ-დანციგის კონფლიქტის გამწვავება

პოლონეთის წარმომადგენლის ანტიგერმანული გამოსვლა

ბერლინი, 25 ნოემბერი. გერმანიის პრესაში დიდი აღშფოთება გამოიწვია პოლონეთის გენერალური კომისრის (დანციგში) პაპეს სიტყვამ, რომელიც მან წარმოსთქვა დანციგში პოლონელთა კოლონიის კრებაზე. ეს კრება გაიმართა პოლონეთის დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ის დანციგელი კორესპონდენტის გადმოცემით, პაპემ, როცა მან მიმართა კრების მონაწილეებს, განაცხადა: „**თვითეული თქვენთაგანი მოწოდებულია შეასრულოს დიდი საქმე—დაუბრუნოს დანციგი პოლონეთს. პოლონეთს, როგორც მძლავრ სახელმწიფოს, უფლება აქვს დანციგზე და არავის მისცემს იმის ნებას, რომ წაართვან მას ეს უფლება. პოლონეთმა იცის დანციგის გზა და არავის მისცემს ნებას გადაახვევინოს მას ამ გზიდან**".

პაპეს გამოსვლამ გამოიწვია პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის ახალი გამწვავება, გერმანიის პრესა პაპეს გამოსვლას უწოდებს პროვოკაციას და მოითხოვს ერთა ლიგის გადაჭრით ჩარევას საქმეში. აგრეთვე პაპეს მოხსნას მისი თანამდებობიდან (ადს).

გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

გერმანელი მრეწველი კლეკნერი საბჭოთა დაკვეთების შესახებ

ბერლინი, 25 ნოემბერი. კელნში გერმანიის უდიდეს საწარმოს — „ჰუმბოლტ დეიჩე მოტორენ ა. გ."-ის აქციონერთა წლიურ მორიგ საერთო კრებაზე გამგეობის თავმჯდომარემ ცნობილმა მსხვილმა მრეწველმა კლეკნერმა, როცა იგი პასუხს აძლევდა შეკითხვებზე, განაცხადა, რომ ფირმამ საბჭოთა კავშირისაგან მიიღო დიდი დაკვეთები. კლეკნერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **საბჭოთა კავშირის არც ერთი თამასუქი არ ყოფილა გაპროტესტებული და რომ საბჭოთა კავშირი ეკუთვნის საუკეთესო მოვალეების რიცხვს.** კლეკნერმა გამოსთქვა იმედი, რომ მისი ფირმა მომავალშიაც მიიღებს საბჭოთა კავშირისაგან დიდ დაკვეთებს (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე

მხარეთა კამათი ლიტონის მოხსენების გამო გრძელდება

ჟენევა, 25 ნოემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა მხარეთა კამათი ლიტონის მოხსენების გამო. ველინგტონ კუმ განაგრძო გუშინდელი სიტყვა. უპასუხა რა მაცუოკას მოთხოვნას და ამტკიცებდა ტანაკას მემორანდუმის სინამდვილე, კუმ განაცხადა, რომ დოკუმენტალურად ამის დამტკიცება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ტოკიოს საიდუმლო არქივამდე. კუ წინადადებას აძლევს საბჭოს წევრებს წაიკითხონ ტანაკას მემორანდუმი, რათა დარწმუნდენ იმაში, რომ ეს მემორანდუმი გამოხატავს იაპონიის პოლიტიკას.

შემდეგ კუ, ეხება რა მაცუოკას მტკიცებას იმის შესახებ, რომ მანჯურიის მოსახლეობა ბედნიერად ცხოვრობს, იანცზის დაბლობის მოსახლეობისაგან განსხვავებით, სთხოვს მას ცხადჰყოს ეს მაგალითებით და კითხულობს რამოდენიმე დეპეშას იაპონიის ჯარის მიერ მანჯურიის მოსახლეობის დასჯის, სამი სოფლის დაწვის, მოსახლეობისათვის აეროპლანებიდან ბომბების დაშენის და სხვ. შესახებ.

მაცუოკას განცხადების შესახებ, რომ იაპონია არ განიხილავს ლიტონის კომისიის მითითებებს მანჯოუგოს ცნობის შეუძლებლობაზე, კუ ამბობს, რომ ეს ერთა ლიგის აშკარა გამოწვევაა.

შემდეგ რეპლიკით გამოდის მაცუოკა, რომელიც კვლავ უბრუნდება ტანაკას მემორანდუმს და აღნიშნავს, რომ კუმ ვერ შესძლო დაემტკიცებინა მისი სინამდვილე.

მაცუოკა გადადის იაპონიის საქონლის ბოიკოტის საკითხზე და ამტკიცებს მთავრობის და გომინდანის პირდაპირ მონაწილეობას ბოიკოტში, წინააღმდეგ კუს განცხადებისა, რომ მთელ საბოიკოტო მოძრაობას კერძო ხასიათი აქვს.

შემდეგ მაცუოკა ეხება კუს მიერ წაკითხულ დეპეშას მანჯურიის მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების მიღების შესახებ და აცხადებს, რომ მას ასეთ ამბებზე არაფერი სმენია და რომ იგი შეეცდება გამოარკვიოს ეს საკითხი.

თავის რეპლიკას მაცუოკა ამთავრებს სიტყვებით: „იაპონია იყო და არის ერთა ლიგის საიმედო დასაყრდენი და მას იმედი აქვს, რომ დარჩება ასეთ დასაყრდენად. თუ ის არ აღმოჩნდება აბსოლუტურად შეუთავსებელი იაპონიის არსებობასთან და იმის დიდ პოლიტიკასთან — დაიცავს მშვიდობიანობა და წესრიგი შორეულ აღმოსავლეთში". მაცუოკას უკანასკნელმა სიტყვებმა საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინა, ისე, როგორც იაპონიის მიერ პირველად აშკარად გამოთქმულმა მუქარამ ერთა ლიგიდან გამოსვლის შესახებ.

მაცუოკას სიტყვის დამთავრების შემდეგ დე-ვალერამ სცადა გადაედო ლიტონის მოხსენების შემდგომი განხილვა და დაეხურა სხდომა. მაგრამ მაცუოკა ითხოვს აცნობონ მას — რას ფიქრობს საბჭო მის მიერ გაკეთებულ შენიშვნის შესახებ, თუ რამდენად არის დასაშვები მიმართვა ლიტონის კომისიისადმი კითხვით: სთვლის თუ არა იგი საჭიროდ მხარეთა შენიშვნების მოსმენის შემდეგ დაუმატოს რაიმე მოხსენებას ან შეიტანოს მასში ცვლილებანი. მაცუოკას ამ განცხადებამ გამოიწვია დისკუსია, რომელშიაც, დე-ვალერას და მაცუოკას გარდა, მონაწილეობა მიიღეს ბენეშმა, მადარიაგამ, საიმონმა და დრუმონდმა. მაცუოკა ყველა არგუმენტების საპასუხოდ აცხადებს, რომ ამ საკითხს სთვლის არა საპროცედურო, არამედ პრინციპულ საკითხად და ითხოვს მიეცეს მას საშუალება ჩამოაყალიბოს თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებანი წერილობითი სახით. დე-ვალერა აცხადებს, რომ საბჭო მოხარული იქნება, თუ მიიღებს იაპონიის შენიშვნებს წერილობითი სახით და რომ მას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ შეიკრიბოს ლიტონის კომისია და განიხილოს მოხსენებაში რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანის საკითხი (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიის მთავრობის მუქარა ერთა ლიგის მიმართ

ტოკიო, 25 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა აცნობოს იაპონიის დელეგაციას ჟენევაში, რომ იაპონიის მთავრობა არ სცნობს კანონიერად გადაეცეს იაპონია-ჩინეთის კონფლიქტი განსახილველად ერთა ლიგის პლენუმს. იაპონიის მთავრობა სთვლის, რომ საკითხი განსახილველად არ [illegible] გადაეცეს არც „19-ის კომისიას", [illegible] წარმოადგენს ლიგის წინანდელი პლენუმის ორგანოს. თუ საკითხი განსახილველად გადაეცა პლენუმს, იაპონიის დელეგაცია გამოვა დეკლარაციით, რომ იგი არ სცნობს პლენუმს უფლებამოსილად. დეკლარაციაში ნათქვამი იქნება, რომ იაპონიის მთავრობა კვლავ დაუშვებლად სთვლის მესამე მხარის ჩარევას იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში და არ დასთანხმდება ასეთ ჩარევაზე (ადს).

პროფესორ სამოილოვიჩის მოხსენება

არქტიკის საბჭოთა ექსპედიციების შესახებ

ბერლინი, 25 ნოემბერი. „აეროარქტიკა" გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა გასულ წელს, არქტიკაში საჰაერო გემი, „გრაფ ცეპელინი"-ს გაფრენის აღსანიშნავად, პროფესორ სამოილოვიჩმა წაიკითხა მოხსენება არქტიკის უკანასკნელ საბჭოთა ექსპედიციების და, კერძოდ, ყინულის მჭრელ „რუსანოვი"-თ მოწყობილ ლაშქრობის შესახებ. სავსე აუდიტორიამ, რომელიც შესდგებოდა პროფესორებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისაგან, უდიდესი ინტერესით მოისმინა მოხსენება და არა ერთხელ შეაწყვეტია სიტყვა მომხსენებელს ტაშის ცემით.

საერთაშორისო პოლიარულ საკითხების კომისიის სხდომაზე პროფესორმა სამოილოვიჩმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა მეცნიერების მუშაობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო პოლიარული წლის ჩატარებასთან. კომისიის თავმჯდომარემ ცნობილმა აეროლოგმა პროფესორ გერგეზელმა გამოსთქვა აღტაცება იმ მუშაობით, რომელიც ჩაატარეს საბჭოთა კავშირის აეროლოგებმა (ადს).

ფარული მოლაპარაკება განიარაღების კონფერენციის მუშაობაში გერმანიის მონაწილეობის შესახებ

ჟენევა, 25 ნოემბერი. დღეს გრძელდებოდა ფარული მოლაპარაკება განიარაღების კონფერენციის მუშაობაში გერმანიის მონაწილეობის საკითხის გარშემო. უმთავრესად საუბარი სწარმოებდა **საიმონსა და პოლ ბონკურს** შორის და საიმონსა და **ნეირატს** შორის. მოლაპარაკებას კვლავ ეღობება დაბრკოლებანი იმის გამო, რომ გერმანია მოითხოვს შეიარაღებაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის წინასწარ ცნობას საფრანგეთის მხრით, ხოლო საფრანგეთი მოითხოვს, რომ თანასწორუფლებიანობის საკითხის განხილვა დაუკავშირდეს უშიშროების პრობლემას. ამ სიძნელეების თავიდან ასაცილებლად საიმონმა, ალბად, ნორმან დევისთან და ალოიზთან შეთანხმებით, წამოაყენა წინადადება, რომ კონფერენციის ნაცვლად, უახლოეს დროში მოეწყოს 5 სახელმწიფოს არა ოფიციალური ხასიათის შეხვედრა, როგორც სჩანს, გერმანია დათანხმდა ასეთ შეხვედრაზე წინასწარი პირობების გარეშე, მაგრამ მოქმედების თავისუფლების შენარჩუნებით. ინგლისის წრეებში ფიქრობენ, რომ მიღწეულია გარკვეული გარდატეხა მოლაპარაკებაში, მაგრამ იმ აზრის არიან, რომ ხუთი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობა არ არის უზრუნველყოფილი, რითაც აღნიშნავენ, რომ მთავარ დაბრკოლებას ამჟამად წარმოადგენს წინასწარი პირობების წამოყენება საფრანგეთის მხრით. (ადს).

ჩრ. ამერიკის შეერთ. შტატები და იაპონია-ჩინეთის კონფლიქტი

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. მანჯურიის საკითხისადმი მიძღვნილ წერილში „ჰერალდ ტრიბიუნი" ეხება ჰუვერის მიერ ამას წინად წარმოთქმულ სიტყვას, სადაც აღნიშნულია, რომ შეერთებულ შტატებს არ სურთ გამოიყენონ რაიმე სამხედრო და ეკონომიური ზომები სამშვიდობო ხელშეკრულებათა დაცვის მიზნით. გაზეთის სიტყვით, ეს განცხადება მოასწავებს იმას, რომ წყნარ ოკეანეში მყოფი შეერთებულ შტატების ფლოტი არ წარმოადგენს საფრთხეს იაპონიისათვის, რომ ამერიკა არ დასთანხმდება შეუერთდეს ერთა ლიგის ეკონომიურ სანქციებს იაპონიის წინააღმდეგ, რომ იაპონია არ იწონებს ბოიკოტს, როგორც იაპონიაზე ზეგავლენის მოხდენის ზომას და არა აქვს განზრახვა მოაწყოს ჟენევაში ბლოკი იაპონიის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა არ [illegible] მიიღონ მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომლებსაც შეიძლება მიმართოს ერთა ლიგამ და რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ომი.

ამერიკელმა ექსპერტმა იუნგმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ლიტონის კომისიის მუშაობაში, განაცხადა, რომ მანჯურიის საკითხი შეიძლება გადაჭრილ იქნას მხოლოდ საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე ასეთი კონფერენცია ვერ მიაღწევდა ვერავითარ დადებით შედეგებს. იუნგის სიტყვით, ერთად-ერთი ღონისძიება, რომელსაც შეიძლება მიმართოს სახელმწიფოებმა, იქნება საერთაშორისო ფინანსიური დახმარების გაწევა ჩინეთისათვის და უარის თქმა იაპონიისა და მანჯურიისათვის რაიმე ფინანსიური დახმარების გაწევაზე (ადს).

ლიტონის კომისიის მოხსენება შედგენილია საფრანგეთის ექსპერტის ზეგავლენით

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მიუხედავად ყოველგვარი განცხადებისა ლიტონის კომისიის წევრების ერთსულოვნების შესახებ, არის ცნობები, რომ მოხსენების შედგენის დროს ადგილი ჰქონდა დიდ უთანხმოებას. კორესპონდენტის სიტყვით, ლიტონი მოითხოვდა იაპონიის მოქმედების უფრო მკაცრად განხილვას. საფრანგეთის წარმომადგენელი კლოდელი სავსებით უჭერდა მხარს იაპონიას და მისი ზეგავლენით შესუსტებულ იქნა მოხსენების დასკვნები. ლიტონი იმუქრებოდა, რომ იგი გამოვა ცალკე განცხადებით, მაგრამ ამერიკის წარმომადგენელმა მაკ-კოიმ და ტრანზიტის საკითხების ექსპერტმა შვეიცარიელმა გაასმა დაიყოლიეს ლიტონი მოეწერა ხელი კლოდელის შესწორებებით შერბილებულ მოხსენებაზე (ადს).

ამხ. ფილიპე მახარაძე ფოთში

ფოთი, 26 ნოემბერი. დილის 9 საათზე, ნავით „პეტროვსკი"-თ ფოთში ჩამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე. ნავპირზე ამხ. მახარაძეს შეხვდნენ პარტიულ, საბჭოთა და პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ფოთის მშრომელები, რომლებიც მიესალმენ მას ვაშას ძახილით. ამხ. მახარაძემ მიიღო პატაკი ნავსადგურის უფროსის მოადგილე ამხ. ბერგსტრემისაგან. შემდეგ ამხ. მახარაძემ დაათვალიერა გემი „წითელი საქართველო", სადაც მას შეხვდა საპატიო ყარაული. (ადს).

პარტიული მშენებლობა

კომუნისტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას

„ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის, ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიულ დაუდევრობის, დენადობის და სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ, წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის თავისებურ უბანს“ („პრავდა“)

შრომის დისციპლინისათვის ბრძოლა—კლასობრივი ბრძოლის უბანია

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილებას „არა საპატიო მიზეზით სამუშაო დღის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საწარმოებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებას, რომელიც მიმართულია მუშათა მომარაგების გაუმჯობესებისაკენ, და გამცდენებისა და მოხეტიალეების წინააღმდეგ. ტრამვაის მუშათა მრავალრიცხოვან მიტინგებზე ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება დამუშავდა 20—21 ნოემბერს, მოხსენებების ირგვლივ კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმულოვნად მოითხოვდნენ ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების დაუყოვნებლივ განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს გაცდენების და დაგვიანებების აღმოფხვრას და ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამჟამად ტრამვაის პარტიული ორგანიზაცია ატარებს სამზადისის მუშაობას გამოყოფილია 5 კაცის შემადგენლობით სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მუშათა ბრიგადების აქტიური მონაწილეობით სამუშაოს გამცდენების და მოხეტიალეების მთლიანად გამომჟღავნება.

თვითეულმა კომუნისტმა უნდა გაამართლოს ავანგარდის როლი

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების განხორციელება უნდა მოექცეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. **საჭიროა თითეული კომუნისტი და კომკავშირელი შრომის დისციპლინის განმტკიცების, უმიზეზოდ გაცდენების და დაგვიანების აღმოფხვრისათვის ბრძოლის მოწინავე რიგებში იდგეს.**

ამ მხრივ ტრამვაის ორგანიზაციის ყველა უჯრედებში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. არის შემთხვევა, როდესაც კომუნისტები და კომკავშირელები აგვიანებენ სამუშაოზე, ან აცდენენ არასაპატიო მიზეზით. არის მოხეტიალე „კომუნისტებიც“, მაგალითად, ამხ. დვალი მუშაობდა ხაზის კონტროლიორად, არ გასულა დიდი ხანი, დვალმა თვითნებურად თავი მიანება ტრამვაის მეურნეობაში მუშაობას და სხვაგან მოეწყო. დვალმა, როგორც წარმოების დეზორგანიზატორმა, ღირსეული სასჯელი მიიღო, ის გარიცხულია საკავშირო კომპარტიის რიგებიდან.

მოწინავე რიგებში

ხალიანდაგო დარგის უჯრედში ირიცხება პარტიის 68 წევრ-კანდიდატი. ხალიანდაგო დარგი აერთიანებს 280 მუშას. მუშები დაყოფილია 8 ბრიგადად. ტრამვაის მეურნეობაში ხალიანდაგო დარგი განირჩევა სამუშაოს გაცდენის და დაგვიანების სიმცირით. რით არის გამოწვეული ეს მდგომარეობა? მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ხალიანდაგო დარგში მეტია მუშათა ძველი კადრების რაოდენობა. 50 პროცენტზე მეტს ისეთი მუშები შეადგენენ, რომელთაც საწარმოო სტაჟი აქვთ არა ნაკლებ 10 წლისა და უფრო მეტიც. მაგალითად, ამხ. მჭედლოვს აქვს 22 წლის საწარმოო სტაჟი (დამტკიცებულია შრომის გმირად), გელოვანი, პარტიის წევრი 1921 წ. 28 წლის საწარმოო სტაჟით, თამარაშვილი პარტიის წევრი, საწარმოო სტაჟი 1907 წ. როგაზოვი, პარტიის წევრი. საწარმოო სტაჟი — 1906 წლიდან.

პარტიულმა უჯრედმა დროულად ჩაატარა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების პოპულიარიზაციისათვის მუშათა ფართო მასებში. ამჟამად დაგვიანებას და გაცდენას ხალიანდაგო დარგში, სრულიად არ აქვს ადგილი — ამბობს კომუჯრედის მდივანი ამხ. ვეზირაშვილი. **„მაგრამ ძველ კადრის მუშებთან ერთად, ჩვენს საწარმოებში მოდიან ახალგაზრდა მუშები, რომლებსაც არ უნახავთ კაპიტალისტური ფაბრიკა და არ განუცდიათ კაპიტალისტური ჩაგვრა. ისინი ასე ერთბაშად ვერ გამოიხარშებიან მუშათა ქვაბში და ერთბაშად ვერ შეითვისებენ შრომის სოციალისტურ ფორმებს“** („პრავდა“).

მთლიანად გავატაროთ ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება

მუშათა დენადობა, სამუშაოს გამცდენები და დეზორგანიზატორები დიდ ზარალს აყენებენ ტრამვაის მეურნეობას. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მოძრაობის დარგი. ამ დარგში ყველაზე უფრო მეტია არა საპატიო მიზეზით დაგვიანება, გაცდენა და აგრეთვე მუშაობისათვის თავის მინებება. 11 ნოემბრიდან მუშაობას თავი დაანება 87 კაცმა, ესენი უმთავრესად ახალი მუშებია, მფრინავები, წარმოების დეზორგანიზატორები; მათ შორის არიან კონდუქტორები, დარაჯები, უმთავრესად კი ვატმანები. ხელმძღვანელობა აუარებელ თანხებს ხარჯავს კადრების მომზადებაზე. კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად და გადასამზადებლად იხსნება სხვადასხვა კურსები, კერძოდ ვატმანებს ამზადებენ სპეციალურ კურსებზე, ვინც თავს ანებებს მუშაობას, თავისუფლად ეწყობა სხვა ქარხნებში, წარმოებაში, დაწესებულებაში. მოხეტიალე რასაკვირველია არ დაკმაყოფილდება ორჯერ ადგილის გამოცვლით და ერთი წარმოებიდან „გაფრინდება“ მეორეში. **ცაკის სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილება სწორედ ასეთი დეზორგანიზატორების წინააღმდეგ არის მიმართული.** აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი მოხეტიალე, ანებებს რა წარმოებას თავს, **თან მიაქვს სპეცტანსაცმელი, სარგებლობს უფასო ბილეთით, კოოპერატივის წიგნაკით და არხეინად ცხოვრობს ტრამვაის მუშათა ბინებში.**

ტრამვაის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა დააჩქაროს ასეთი დეზორგანიზატორების გამომჟღავნება. მთლიანად უნდა იქნეს განხორციელებული ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ დათხოვნილ მუშაკს ერთმევა **„ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების მუშაკისათვის მიცემული სასურსათო თუ სამრეწველო საქონლის ბარათით სარგებლობის უფლება, აგრეთვე ამ საწარმოს ან დაწესებულების სახლებში მიცემული ბინით სარგებლობის უფლება“.**

შრომის გმირები და შრომის დეზერტირები

მირზოევი პარტიის წევრი, სისტემატიურად აგვიანებს სამუშაოზე. გაურბის პარტიის დავალებებს. უჯრედმა 10 ნოემბერს დაადგინა გამორიცხოს მირზოევი პარტიის რიგებიდან. ანდა ავიღოთ მაგალითად, პარტიის კანდიდატი ხიზანბარაშვილი, იმის მაგივრად, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში მაგალითი მისცეს უპარტიო მუშებს, თვითონ სისტემატიურად აგვიანებს სამუშაოზე. განრიგის თანახმად ხიზანბარაშვილი სამუშაოზე უნდა გამოცხადდეს დილის 6 ნახევარ საათზე, ნამდვილად კი სამუშაოზე ცხადდება 7 საათზე, ხშირად კი 12 საათზე.

ტრამვაის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გაშალოს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თვითეული კომუნისტის ავანგარდული როლი შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში, უპარტიო მუშების ფართოდ ჩარაზმვა ცაკის და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილების მთლიანად რეალიზაციისათვის. აღნიშნული დადგენილების დამუშავების საფუძველზე პირველი შედეგები ასეთია: **თვალსაჩინოდ შემცირდა გაცდენები. ზოგიერთ დარგებში არა საპატიო მიზეზით დაგვიანება და გაცდენა წინანდელთან შედარებით შემცირდა 60 პროც.** მაგალითად, მოძრაობის დარგის მეოთხე უჯრედის მდივანი აცხადებს, რომ **158 კაციდან საშუალოდ ყოველდღიურად სამუშაოდ არ გამოდიოდა 13—14 კაცი, ამჟამად სამუშაო დღის აცდენს 6—7 კაცი, თუ მუშების 20 პროც. აგვიანებდა, ახლა აგვიანებს მხოლოდ 5 პროც.** რასაკვირველია ეს მიღწევები არ არის საკმარისი. საჭიროა ამ მიღწევების გამტკიცების საფუძველზე შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევების სავსებით აღმოფხვრა. ტრამვაის ორგანიზაციიდან პარტიის ზოგიერთი წევრები და უპარტიო მუშები **იძლევიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ნიმუშებს.** მაგალითად პარტიის წევრებს: შავარდნაძეს, მუსერიძეს, კურტანიძეს, გოგოლს, დოცენკოს, ქარაულს, გამცემლიძეს, მჭედლიშვილს და სხვა არა აქვთ **არც ერთი დაგვიანება, არც ერთი გაცდენა. ასევე უპარტიო დამკვრელ მუშებს:** შოკაშვილს, [illegible]ძეს, ხუბაშვილს, კიკნაველიძეს, ჯიქიას და სხვ. საჭიროა მოწინავე დამკვრელი მუშების გამოცდილება ფართოდ გავაცნოთ თვითეულ საამქროს, თვითეულ მუშას. უნდა გვახსოვდეს, რომ **„ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის, ბრძოლა წვრილ ბურჟუაზიული დაუდევრობის, დენადობის და სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის თავისებურ უბანს და მისი გამოხატულების ერთ-ერთ ფორმას ახალ პირობებში“** („პრავდა“).

პარტმუშაკი

თბ. თამბაქოს ფაბრიკის დამკვრელი კომკავშირელები დაზგასთან. ამხ. ხარატიშვილი ქარაპეტოვი და კურკოვიჩი

მოხეტიალეებს წარმოებაში დეზორგანიზაცია შეაქვთ

ლაპარაკობს საამქრო პარტუჯრედის მდივანი

საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილებას „არა საპატიო მიზეზით სამუშაო დღის გაცდენისათვის და დათხოვნის შესახებ“; თბილისის დეპოს საორთქმავლო საამქროს მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ — ამბობს საამქროს პარტუჯრედის მდივანი ამხ. **ჯილაბრიშვილი.**

ეს დადგენილება დამუშავებული იქნა 18 ნოემბერს პარტუჯრედის ღია კრებაზე უპარტიო მუშებთან ერთად.

ფაბრიკა—მკერავი № 2-ის საამქროს პარტუჯრედის მდივანი. საუკეთესო დამკვრელი ამხ. ა. ზუბაროვა

კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში განმტკიცდეს შრომის დისციპლინა და აღმოიფხვრას უმიზეზოდ სამუშაო დღეების გაცდენები.

„პარტიის და მთავრობის დირექტივები ფართოდ უნდა განვუმარტოთ მასებს და დავაყენოთ ისინი თვითეულ მუშამდე და მის ოჯახის წევრამდე“, ძირეულმა პარტიულმა რგოლებმა გააცხოველონ მუშაობა პარტიულ და უპარტიო მუშათა მასებში საკავშირო სახკომსაბჭოსა და ცაკის 15 ნოემბრის დადგენილების პოპულიარიზაციის მიზნით. რგოლეური უჯრედები ატარებენ ახსნა - განმარტებითი მუშაობას საამქროებში ცვლებსა და ბრიგადებში აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის მნიშვნელობის შესახებ, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საამქროებსა და ბრიგადებში მოეწყო საგუშაგოები, რომლებიც აწარმოებენ სამუშაოზე მოსული მუშების აღრიცხვას. **მოწვეული იქნა ძირეული პარტიული რგოლების თათბირი, რომელზედაც სპეციალურად იქნა დამუშავებული საკითხი ცაკის, და სახკომსაბჭოს დადგენილების პრაქტიკულად გატარების საქმეში მათი მონაწილეობის შესახებ.**

„თვით დისციპლინისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს უდიდესი მიღწევები აქვს. სოციალისტური წარმოების მოწინავე პროლეტარი — ენთუზიასტი ცენტრალური ფიგურაა ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში. სოც - შეჯიბრებამ, რომელშიაც ჩაბმულია მოწინავე დამკვრელ მუშათა მილიონები, გადააქცია შრომა მათი ღირსების, სიამაყის და გმირობის საქმედ“ („პრავდა“)

ამიტომ არის, რომ ულმობელი ბრძოლა გაიშალა სიმულიანტებისა და ცრუ დამკვრელების გამოსამჟღავნებლად შრომის ახალი ფორმების და მეთოდების უმაღლეს საფეხურზე ასაყვანად.

ჩვენ **საამქროში გამომჟღავნებულ იქნენ პარტიის ზოგიერთი წევრები — ცრუ დამკვრელები,** რომლებიც სამარცხვინო ლაქას სცხებდნენ ჩვენს წარმოებას, უმიზეზოდ აცდენდნენ სამუშაო დღეებს, ვერ ამართლებდნენ კომუნისტების ავანგარდულ როლს წარმოებაში, ასეთები არიან: **პარტიის წევრები ა. გელაშვილი, ვ. ტაშაკიძე, ფურცელაძე და აფხაზიანი**

ამ ამხანაგების წინააღმდეგ პარტუჯრედის ბიურო მიიღებს გადამწყვეტ ზომებს.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და უმიზეზოდ სამუშაო დღეების გაცდენის აღმოფხვრის მიზნით, მესამე ცვლის მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ადგილობრივი დეპოს მუშები.

დამკვრელი ეს იმ მუშის საპატიო სახელია, რომელიც ბოლშევიკურად იბრძვის მიცემულ დავალებათა შესასრულებლად.

ასეთი მუშები ბევრია ჩვენს წარმოებაში, კომუნისტების უმრავლესობა ამართლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საამქროში მუშაობს 641 მუშა, აქედან პარტიის 214 წევრია და 75 კანდიდატი. კომუნისტები ჩაბმულია სოც - შეჯიბრებასა და დამკვრელობაში. ფართოდ არის გამოყენებული ინდივიდუალური შეჯიბრების მეთოდი. მუშებს შორის დადებულია სოც შეჯიბრების ხელშეკრულებები და ყოველ დეკადურად და კვარტალურად სწარმოებს ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება.

ლოზუნგი „არც ერთი კომუნისტი და კომკავშირელი სოც - შეჯიბრებისა და დამკვრელობის გარეშე“ მთლიანადაა განხორციელებული ჩვენს საამქროში.

სახკომსაბჭოს და ცაკის დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით მუშები **ბოლშევიკურ სიტყვას იძლევიან,** რომ არ დაუშვებენ არც ერთ გაცდენას არა საპატიო მიზეზით და იბრძოლებენ შრომის დისციპლინის ახალ საფეხურზე აყვანისათვის.

ამ დადგენილების გასაშუქებლად გამოიცა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, რომლებშიაც ნაჩვენებია წარმოებაში დეზორგანიზაციის გამომწვევი მიზეზები და ცრუ დამკვრელი—სიმულიანტი მუშები.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა **შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის,** სოც - შეჯიბრების მაღალ საფეხურზე აყვანისათვის და სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენის აღმოფხვრისათვის — **არის ბრძოლა საწარმოო - საფინანსო გეგმების მთლიანად შესრულებისა და მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.**

ა. ი.

შრომა ღირსების, სიმამაცის და გმირობის საქმეა

თბილისის სადგურის მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში ფართო გამოხმაურება პოვა საკავშირო სახკომსაბჭოს და ცაკის დადგენილებამ, არა საპატიო მიზეზით სამუშაო დღის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ. ეს საკითხი დამუშავებული იქნა 17 ნოემბერს მუშა - მოსამსახურეთა სახელდახელო კრებაზე.

მუშებმა მთლიანად მოიწონეს სახკომსაბჭოს და ცაკის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „თუ მუშაკი არა საპატიო მიზეზით გააცდენს თუნდაც ერთ დღეს, დათხოვნილი იქნეს საწარმოდან ან დაწესებულებიდან და ჩამოერთვას მას როგორც ამა თუ იმ საწარმოს და დაწესებულების მუშაკისათვის მიცემული სასურსათო თუ სამრეწველო საქონლის ბარათით სარგებლობის უფლება. აგრეთვე წაერთვას საწარმოს ან დაწესებულების სახლში მიცემული ბინით სარგებლობის უფლება“.

მუშათა ფართო მასებში ამ დადგენილების პოპულიარიზაციის მიზნით, ძირითადი პარტიული რგოლები ჯგუფებსა და ბრიგადებში აწარმოებენ გაზეთების ხმამაღალ კითხვას და საუბრებს. ამასთან დაკავშირებით **სადგურის მეურნეობაში მიმდინარეობს კომუნისტების ავანგარდული როლის დათვალიერება.** გამოყოფილია. ბრიგადები, რომლებიც ატარებენ სამუშაოზე მოსულ მუშების აღრიცხვას. **ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რომ არც ერთი სამუშაო დღე არ იქნეს უმიზეზოდ გაცდენილი.**

სადგურის მუშებმა დაამუშავეს ამხ. სტალინის სახ. ქარხნის საქვაბე საამქროს მუშების მიმართვა და დასახეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებისათვის.

მუშები სიტყვას იძლევიან, რომ ყოველდღიური მუშაობის პროგრამად გახდიან სატრანსპორტო გეგმების მთლიანად შესრულებას, არ დაუშვებენ არც ერთ გაცდენას არა საპატიო მიზეზით და სასტიკად შეებრძოლებიან ყველა იმათ, ვინც სიმულიანტობის სამარცხვინო ლაქას სცხებს სადგურის მეურნეობის მუშებს.

მოწინავე უჯრედი

თბილისის სადგურის მეურნეობა მთლიანად ვერ ასრულებს სატრანსპორტო გეგმებს, ადგილი აქვს გარღვევებს, ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. სათანადოთ არ არის მოგვარებული სადისპეჩერო აპარატის მუშაობა—ამბობს ტექნიკური დარგის საამქროს პარტუჯრედის მდივანი ამხ. კაპანაძე. ამის გამო მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ყურადღების (ცენტრი იქითკენ არის მიქცეული, რომ გავაუმჯობესოთ სადგურის მეურნეობის მუშაობა პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის საფუძველზე.

ტექნიკური დარგის საამქროს პარტუჯრედი აერთიანებს პარტიის 78 წევრ - კანდიდატს. ჩამოყალიბებულია 8 პარტჯგუფი, გამოყოფილია 4 პარტორგანიზატორი. ამჟამად **ძირეული პარტიული რგოლების ერთ მთავარ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს შრომის დისციპლინის განმტკიცება სახკომსაბჭოს და ცაკის 15 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე.**

აღნიშნული დადგენილება 24 ნოემბერს დამუშავებული იქნა პარტუჯრედის ღია კრებაზე უპარტიო მუშებთან ერთად. ამავე დღეს **პარტჯგუფებმა და პარტორგანიზატორებმა ბრიგადებში, ჯგუფებსა და საამქროებში გაშალეს ინდივიდუალური და ჯგუფური ახსნა - განმარტებითი მუშაობა ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების მნიშვნელობის შესახებ.**

ჩამოყალიბდა სპეციალური საგუშაგოები, რომლებიც აწარმოებენ სამუშაოზე მოსული მუშების აღრიცხვას.

კომუნისტის საბრძოლო ამოცანად გახადეთ შრომის დისციპლინის მაღალ საფეხურზე აყვანა, ბრძოლა სატრანსპორტო გეგმების მთლიანად შესრულებისათვის — ამხ. სტალინის 6 ისტორიულ მითითების ჩატარების საფუძველზე.

ზოგიერთი კომუნისტები, ვერ ამართლებენ ავანგარდულ როლს საწარმოში, კუდში მისჩანჩალებენ მოწინავეებს და იძლევიან სამუშაო დღის უმიზეზოდ გაცდენის „საუკეთესო“ მაგალითებს. უჯრედმა დროულად გამოამჟღავნა სიმულიანტი, „კომუნისტები“ და მათ წინააღმდეგ მიიღო სათანადო ზომები. მაგალითად, პარტიის წევრმა ლონლაძემ თვითნებურად დატოვა სამუშაო, რისთვისაც გამორიცხულია პარტიის რიგებიდან.

უმიზეზოთ სამუშაო დღის გაცდენისათვის მოხსნილია სამუშაოდან პარტიის წევრები გზირიშვილი, ნიორაძე და სხვ. მოხსნილმა ამხანაგებმა შემოიტანეს განცხადება, რათა უკანვე დავაბრუნოთ სამუშაოზე და სიტყვას იძლევიან, რომ მომავალში აღარ დაუშვებენ გაცდენა - დაგვიანებას.

ამჟამად ჩვენს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ის, რომ „პარტიისა და მთავრობის დირექტივები ფართოდ განვუმარტოთ მასებს და დავაყენოთ ისინი თვითეულ მუშამდე და მის ოჯახის წევრამდე.

მტვირთავი მუშა

პირველი შედეგები

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილება „არასაპატიო მიზეზით სამუშაო დღის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ“ თბილისის გრეხილართულობის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად დაამუშავა. წინასწარ საკითხი განხილულ იქნა პარტუჯრედის ბიუროს სხდომაზე პარტორგანიზატორების და კომკავშირის აქტივის მონაწილეობით.

19 ნოემბერს მუშა - მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან მიტინგზე მოსმენილი იქნა მოხსენება საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილების შესახებ. ქარხნის დამკვრელ ენთუზიასტმა მუშებმა კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მოკამათე ამხანაგები: **მურადოვი, ალლაძე, გორგობიანი, ბასიაშვილი** აღნიშნავდნენ საკ. მთავრობის ამ დადგენილების უდიდეს მნიშვნელობას **საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საქმეში და ზიზღს უცხადებენ წარმოების ცრუ დამკვრელებს. დღეების უმიზეზოდ გამცდენებს და სიმულიანტებს, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების ნორმალურ მუშაობას.**

როგორც თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნებში, ისე გრეხილართულობის ფაბრიკაში ადგილი ქონდა დღეების უმიზეზო გაცდენის შემთხვევებს. მესამე კვარტალში არასაპატიო მიზეზით გაცდენილ იქნა 433 კაც-დღე; ოქტომბრის თვეში უმიზეზოთ გაცდენილ იქნა 95 კაც-დღე, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საფ.-საფ. გეგმების შესრულებაზე; მესამე კვარტალის საწარმოო დავალება ფაბრიკამ შეასრულა მხოლოდ 80 პროცენტით და ოქტომბრისათვის კი 96 პროც.

საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილების დამუშავებამ დიდათ შეუწყო ხელი **საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. 20-დან 25 ნოემბრამდე არ ქონია ადგილი უმიზეზოთ სამუშაოს გაცდენას.** 20 ნოემბერს შრომის დისციპლინის სისტემატიურად დარღვევისათვის მოხსნილ იქნენ სამუშაოდან: კაზაროვი, გორდაძე და დიჟული. გრეხილართულობის ფაბრიკის მუშებმა საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით მიიღეს კონკრეტული ვალდებულებები: გამცდენებისა და სიმულიანტების საპასუხოდ — ნათქვამია დადგენილებაში მობილიზაციას უზამთ ფაბრიკის დამკვრელ მუშებს, მუშა-ქალებს და დავირაზმებით საწარმოო ფრონტზე. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. არა საპატიო მიზეზით სამუშაოს გამცდენებს წაერთვათ დეფიციტურ საქონლით მომარაგების და სასურსათო საბუთებით სარგებლობის საუფლება. საწარმოო ტრიბუნალს დაევალა გააცხოველოს მუშაობა და მიიღოს სათანადო ზომები არა საპატიო მიზეზებით სამუშაოს გამცდენთა წინააღმდეგ.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია საკ. მთავრობის ამ დადგენილების მხოლოდ მუშა - მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან მიტინგზე დამუშავებით არ დაკმაყოფილდა. ქარხნის პარტიული და კომკავშირული აქტივი დარაზმულ იქნა ამ დადგენილების საამქროებსა და ძირეულ პარტიულ რგოლებში გადასატანად. საამქროს პარტიულები და კომკავშირლები ბოლშევიკურ სიტყვას იძლევიან, რომ საკ. ცაკისა და სახკომსაბჭოს 15 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე განამტკიცებენ შრომის დისციპლინას და მთლიანად შეასრულებენ მოცემულ საწარმოო დავალებებს.

ლ. ხან—ძე.

თბილისის დეპოს დამკვრელი კომკავშირელები ორთქმავალს უშვებენ შეკეთებიდან

ენგურქაღალდმშენი

უნდა ამუშავდეს 1934 წლის მე-2 კვარტალში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქ. ზუგდიდიდან დასავლეთისაკენ, მდ. ჩხოუშ გაღმა, ფართო გზატკეცილი მიიმართება. 2—3 კილომეტრის გავლით და გახვალთ ვრცელ, მწირიანიადაგიან ველზე, რომელსაც შამგონი ეწოდება. ამ სამი წლის წინად აქ საფუძველი ჩაეყარა ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ უდიდეს გიგანტს, — ცელიულოზის და ქაღალდის კომბინატს.

ჩვენი ქვეყანა ცნობილია მდიდარი ტყის მასივებით, რომელთა დიდი ნაწილი აქამდე ხელუხლებელია. ტყე საუკეთესო მასალას წარმოადგენს ქაღალდის მრეწველობისათვის. ასეთი ბუნებრივი სიმდიდრით განსაკუთრებით უხვად დაჯილდოებულია ზემო სვანეთი. სწორედ ამ ტყეების გამოყენებას ისახავს მიზნად შამგონის ქაღალდის კომბინატი.

—

ვათვალიერებთ მშენებლობის ტერიტორიას. არაფერი ჩანს ისეთი, რაც სტოვებდეს ქარხანა - გიგანტის შთაბეჭდილებას; ორი თუ სამი აგურის შენობა სდგას. მაგრამ საეჭვოა, რომ რომელიმე მათგანი მომავალ გიგანტის დასაწყისს წარმოადგენდეს. და მართლაც ასეა. ეს ნაგებობანი ფაბრიკის დამხმარე დაწესებულებებისათვის შენდება. თვით გიგანტის მშენებლობა პერსპექტივაშია, ის ჯერ არ დაწყებულა.

ირკვევა, რომ კომბინატის მშენებლობას თავიდანვე ეთქვა „უბედობა“ დაჩემდა. მშენებლობა 1929 წელში დაწყებულა, ის ჯერ კიდევ არ არის გაშლილი სასურველი ტემპით:

ამის მიზეზი ზოგიერთი ორგანიზაციების და ცალკე პირების საქმისადმი [illegible] დამოკიდებულება იყო. იყვნენ „ბრძენნი“, რომლებიც „ამტკიცებდნენ“ შამგონის ველზე ცელიულოზის და ქაღალდის კომბინატის აშენების მიზანშეუწონლობას. იმ მოტივით, თითქოს სვანეთის უდიდეს სატყეო მასივებში ვერ იმოვი[illegible]-სა მათ რაოდენობის გადასამუშავებელ მასალას (?!).

ამ „ბრძენების“ წყალობით, არა ერთხელ და ორჯერ მოხდა მშენებლობის შეჩერება, კონსერვაცია, რასაც სხვათა შორის იწვევდა აგრეთვე კომბინატის პირველ პროექტების შედგენაში დაშვებული შეცდომები.

კვლავ ამ მიზეზების გამო მშენებლობა 1931 წ. შემოდგომამდე შეჩერებული იყო. შემდეგ მუშაობა განახლდა, მაგრამ მისი გაშლა მაინც ვერ მოხერხდა, რადგან არ იყო მზად საპროექტო მასალა. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1932 წლამდე. როდესაც გამოირკვა მშენებლობაში დასაბანდებელი კაპიტალის რაოდენობა, დაიწყო მზადება მშენებლობის გასაშლელად. ეს წელი ამასთანავე წარმოადგენდა ბრძოლის ხანას იმისათვის, რათა დაერწმუნებინა „ორწმუნო თომანი“, რომ მასალა საკმაოდ მოიპოვება სვანეთის ტყეებში და, რომ კომბინატის მშენებლობა შამგონში მიზანშეწონილია. კომბინატის მშენებლობა შესძლებს ამის დამტკიცება და საკავშირო სატყეო კომისარიატის კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო კომბინატის აგება.

ეხლა მშენებლობის პროექტი დამტკიცებულია და არის სატყეო კომისარიატის დადგენილება, რათა მუშაობა ისე იქნეს გაშლილი, რომ კომბინატი ამუშავდეს 1934 წლის მე-2 კვარტალში.

კომბინატის მომავალი სახე

ამჟამად მშენებელთ უკვე მოეპოვებათ კომბინატის დამტკიცებული ტექნიკური პროექტი, ყველა დამხმარე საბინაო - კომუნალური ობიექტებით.

მომავალ კომბინატში შევა ორი ფაბრიკა — ცელიულოზისა და თვით ქაღალდის ფაბრიკა. მათი საპროექტო სიმძლავრე ასეთია: წლიურად უნდა დამზადდეს — 11.000 ტონა ცელიულოზა, 17.500 ტონა საწერი და საბეჭდი ქაღალდი და, 5.000 ტონა ტექნიკური ქაღალდი.

ცელიულოზის ქარხნის სახარშავ განყოფილების ნარჩენების გამოსამუშავებლად ნავარაუდევია სპეციალური ქარხნის აგება, რომელმაც უნდა, დაამზადოს მთრიმლავი ექსტრაქტები ტყავის წარმოებისათვის.

კომბინატში, ყველა თავისი დამხმარე საამქროებით იმუშავებს 200 მუშა ადგილობრივი მოსახლეობიდან. ამ კადრის მოსამზადებლად უკვე გადადგმულია ნაბიჯები და სწარმოებს მათი მომზადება საბჭოთა კავშირის ქაღალდის ფაბრიკებში.

ამ რაოდენობის მუშების კულტურულ საყოფა-ცხოვრებო მოსახურეობისათვის გათვალისწინებულია კომბინატთან სპეციალური მუშათა ქალაქის გაშენება ყოველგვარი კომუნალური და კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებით, როგორიცაა: ამბულატორია სტაციონალური საწოლებით, სამალარიო დისპანსერი, ფაბრიკა - სამზარეულო, სასტუმრო, აბანო, სამრეცხაო, კულტურის სახლი და სხვა. ქალაქს ექნება ელექტროგანათება, წყალსადენი და კანალიზაცია.

ხე-ტყის გადმოსაზიდათ კომბინატიდან ჯვარამდი, 50 კილომეტრის მანძილზე, გაყვანილი იქნება ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა.

ასეთია მომავალი კომბინატის სახე.

როგორც ვსთქვით, კომბინატი უნდა ამუშავდეს 1934 წ. მე-2 კვარტალში. მოსამზადებელი მუშაობა თავდება. ამგვარად, 1933 წლიდან უნდა დაიწყოს ფართო მშენებლობა. კომბინატის საერთო ღირებულება ჩაანგარიშებულია 32 მილიონ მანეთის რაოდენობით, აქედან 1933 წელში უნდა დაიხარჯოს 20 მილიონი მანეთი.

მშენებელთა ამოცანას შეადგენს, ამ თანხის ათვისება და სამშენებლო გეგმების მთლიანად შესრულება.

რა გვაქვს დღეს

კომბინატის მშენებლობაში დღემდე ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს, როგორიცაა ჩამორჩენები გეგმების შესრულებაში, რაც აიხსნება სუსტი დაფინანსებით და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობით. ეს იწვევდა მუშახელის დენადობას, შრომის დისციპლინის შესუსტებას და შრომის ნაყოფიერების დაცემას.

მაგრამ, პარტიის ზუგდიდის რაიკომში საკითხის დამუშავების შემდეგ, მდგომარეობა გამოსწორდა. შეცვლილ იქნა მშენებლობის ხელმძღვანელობა, გაიშალა შრომის სოციალისტური ფორმები. ჩამოყალიბდა 33 დამკვრელი ბრიგადა და სოც-შეჯიბრებაში ჩაება მუშების და ინჟინერ - ტექნიკოსების 89 პროცენტი.

ყოველივე ამან გააცხოველა კომბინატის დამხმარე მშენებლობათა წარმოების ტემპები. გაძლიერდა მექანიკური ქარხნის, საზამთრო დეპოს, და მთავარი კანტორის შენობათა მშენებლობა და ეხლა ყველა ესენი დამთავრების სტადიაში იმყოფებიან. ამასთანავე დაიწყო მუშათა ქალაქის აგება. შენდება ორი [illegible] სადაც უნდა მოთავსდეს 200 მუშა თავისი ოჯახით. სულ უნდა აშენდეს 14 სახლი. გარდა დაწყებულ ორი სახლისა, საფუძველი ჩაეყარა კიდევ ორს. მშენებლობას აკლია საშენებელი მასალა, რომელიც ნაწილობრივ უკვე დამზადებულია ადგილებზე, მაგრამ ძნელდება მათი გადმოზიდვა, ტრანსპორტის მოუქნელი მუშაობის გამო. საშენებელ მასალების მშენებლობაზე მიზიდვის გასაადვილებლად კომბინატის ტერიტორიაზე გაყვანილია რკინის გზა 3 კილომეტრის მანძილზე. ხაზი საჭიროებს ქვიშა - ბალასტის მოყრას. ამ საქმეში მას შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობა უნდა დაეხმაროს, რომელსაც მოეპოება მდ. ენგურის ნაპირებზე სათანადო კარიერები, მაგრამ უკანასკნელი გულგრილობას და უყურადღებობას იჩენს.

მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები უმჯობესდება

მშენებლობის ახალმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პირველყოვლისა აღებულ იქნა კურსი საკუთარი მეურნეობის შექმნაზე. უკვე გაშენებულია ბოსტანი 10 ნახევარ ჰექტარზე. ეს სივრცე გადიდებული იქნება 30—40 ჰექტარამდე, საიდანაც 50 პროც. დაეთმობა სიმინდს, ხოლო დანარჩენი ბოსტანს. ამასთანავე მოეწყობა მესაქონლეობის და მეღორეობის ფერმები. ეს უზრუნველჰყოფს მუშებს საკვებ პროდუქტებით.

მუშების მომარაგების სათანადო ნიადაგზე დაყენებას აბრკოლებდა, კოოპერაციის სუსტი მუშაობა. მშენებლობის სამკუთხედმა ამასაც მიაქცია ყურადღება და შექმნა პურის და სამრეწველო საქონლის ხელუხლებელი ფონდი, რომელსაც იყენებს იმ შემთხვევებში, როდესაც კოოპერაციის მუშაობაში ადგილი აქვს შეფერხებს.

ამჟამად მშენებლობაზე მუშაობს 300 მუშა. ისინი უზრუნველყოფილი არიან ბინებით. დარჩენილია კიდევ ადგილი 200 კაცისათვის. მუშათა რაოდენობა ახლო ხანში გაიზრდება 1000-დე. ისინიც უზრუნველყოფილი იქნებიან ბინებით, რადგან ამ დროისათვის მუშათა ქალაქის მშენებლობა ნაწილობრივ დამთავრებული იქნება.

მუშა - ხელის გეგმიანად შეგროვება

მთავარ საკითხს დღეს, სამუშაოების გაშლის წინ, მუშა - ხელის ორგანიზაციულად შეგროვება შეადგენს; ამჟამად მშენებლობაში ჩაბმულ მუშების 50 პროცენტს მოწვეული მუშები შეადგენენ. მშენებლობის სამკუთხედის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მუშა - ხელის მოზიდვა ადგილობრივ მოსახლეობიდან. ამ მიზნით იგი დაკავშირებულია სათანადო ხელშეკრულებებით მთელ რიგ კოლმეურნეობებთან, სადაც არ მისდევენ ჩაის მეურნეობას. ასეთი კოლმეურნეობებია: ორსანტიის, კოკის, დარჩელის, ანაკლიის და სხვა სოფლების კოლექტივები.

სადღეისოდ მშენებლობას მოსამზადებელ სამუშაოების დასამთავრებლად ესაჭიროება დამატებით 100 მუშა.

—:—

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მშენებლობაზე არის ყველა პირობები იმისათვის, რომ მუშაობა ფართოდ იქნეს გაშლილი მუშათა ენტუზიაზმი იზრდება. საჭიროა მასების აქტივობის ისე წარმართვა, რომ ქაღალდის გიგანტის მშენებლობა დამთავრდეს დანიშნულ დროისათვის.

ამასთანავე უნდა მოვახდინოთ სათანადო ორგანიზაციების ყურადღების მობილიზაცია იმ მხრივ, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო თანხებით, საშენებელი მასალით და მოწყობილობით. ტრანსპორტს ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ეკისრება. მან უნდა მოიკრიბოს მთელი ძალები, დასძლიოს თავისი მოუქნელობა და ქაღალდმშენი უზრუნველჰყოს საუკეთესო სატრანსპორტო მომსახურეობით.

ა. კილენჯერიძე.

საბჭოთა კავშირში

პარტიის რიგებიდან გარიცხვა მოტყუებისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. 1. პარტიის მოტყუებისათვის, რაც გამოიხატა აშკარად ყალბი ცნობების წარდგენაში, რომლებშიაც შემცირებულად იყო ნაჩვენები მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების პურის რესურსები, გამოირიცხოს პარტიიდან უკრაინა-ყირიმის მარცვლეულის ტრესტის დირექტორი ბურკოვი.

2. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს მისცეს ბურკოვს სამუშაო გამოსაცდელად და უფლება მიეცეს ბურკოვს ერთი წლის შემდეგ შემოიტანოს განცხადება პარტიაში უკან მიღების შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 25 ნოემბერი. პარტიისა და მთავრობის მიერ სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოების გარდაქმნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეფარდებით, მიწსახკომის 21 ნოემბრის ბრძანების თანახმად, შეიცვალა საბჭოთა კავშირის მიწსახკომის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა. მოეწყო 18 სამმართველო, მათ შორის შრომის ორგანიზაციის და შემოსავლის განაწილების სამმართველო—ხელმძღვანელი ამხ. ტატაევი, მეცხოველეობის სამმართველო — ხელმძღვანელი ამხ. ჩაიცევი, მემინდვრეობის და აგროკონტროლის სამმართველო — ხელმძღვანელი ამხ. ალექსანდროვი, ტეხნიკური და ახალ კულტურათა სამმართველო—ხელმძღვანელი ამხ. ოშვარინი.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სამმართველოს შემადგენლობიდან გამოყოფილია მთელი რიგი დამოუკიდებელი სექტორები. მეცხენეობის—ხელმძღვანელი—ამხ. ბერმანი, ვეტერობის, გასაღების და შესრულების შემოწმების — ხელმძღვანელი ამხ. გუროვიჩი.

ამას გარდა, საბჭოთა კავშირის მიწსახკომის შემადგენლობაში შევიდა—გამომგონებლობის და რაციონალიზაციის ბიურო, თესლბრუნვის ბიურო და ხუთწლედის ბიურო, სტანდარტიზაციის კომიტეტი. (ადს).

დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 25 ნოემბერი. 24 ნოემბრის დილის სხდომაზე საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ამხ. პერეპეჩკოს მოხსენება ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობის შესახებ.

პლენუმის საღამოს სხდომა გაიხსნა [illegible] მსოფლიო კონგრესის დელეგაციის მისალმებით.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა და დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციების პროექტები ყველა მოხსენებათა გამო.

პლენუმმა კოოპტაციის წესით შეიყვანა პლენუმის წევრთა შემადგენლობაში უკრაინის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. სუხომლინი და საკავშირო პროფსაბჭოს კულტმასგანყოფილების გამგე ამხ. მარჩენკო. ამხ. სუხომლინი აგრეთვე არჩეულია საკავშირო პროფსაბჭოს წევრად.

პლენუმის დახურვის დროს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. შვერნიკმა აღნიშნა, რომ ეს პლენუმი დაკავშირებული უშუალოდ საჭირბოროტო საკითხებთან, პროფკავშირების წევრთა მთელი მასისათვის ფართო დახმარების აღმოჩენის საკითხებთან.

მხოლოდ მუშათა ფართო მასებში მასიურ-საწარმოო და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაშლით შევძლებთ, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შევასრულოთ ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

გაიხსნა ინჟინერთა და ტეხნიკოსთა მეხუთე საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 25 ნოემბერი. 25 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა ინჟინერთა და ტეხნიკოსთა მეხუთე საკავშირო ყრილობა. ყრილობამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი 61 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. შვერნიკი, ვეინბერგი, აკადემიკოსები ვოლგინი, იოფე, ვინტერი, ბახი, ამხ. კრჟიჟანოვსკი, ბუხარინი, ტულაიკოვი, ვარდინი, მეჟლაუკი, კოსარევი, პროკოფიევი და სხვ.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით აირჩიეს ამხ. სტალინი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, ვოროშილოვი, კუიბიშევი ანდრეევი, კიროვი, კოსიორი, პოსტიშევი, რუძუტაკი, შვერნიკი ტელმანი, მაქსიმ გორკი და ანრი ბარბიუსი.

ყრილობას მიესალმა ამხ. შვერნიკი, რომელმაც აღნიშნა ძველი ინტელიგენციის გადაჭრით მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამხ. შვერნიკმა ამასთან მიუთითა, რომ საინჟინერო-ტეხნიკურ მუშაკთა თითქმის მილიონიანი არმიიდან დაახლოვებით [illegible]-მა პროცენტმა შეიძინა თეორიული ცოდნა საბჭოთა პირობებში, აქედან 25 პროცენტი უკვე პარტიისა და კომკავშირის წევრებია.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას—ამხ. სტალინს, საბჭოთა კავშირის ცაკს და სახკომსაბჭოს, რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს (ადს).

ხელმოწერილია ახალი ხელშეკრულება კანადის ბაზრისათვის ნავთის პროდუქტების მიწოდების შესახებ

მოსკოვი, 25 ნოემბერი. ნავთის საექსპორტო-საკავშირო გაერთიანების მიერ მიღებული ცნობებით, ამ უკანასკნელ დღეებში ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას კანადის ბაზრისათვის საბჭოთა ნავთის პროდუქტების მიწოდების შესახებ. ახალი ხელშეკრულების თანახმად, 1933 წლის განმავლობაში კანადა მიიღებს 120 ათას ტონა ნავთის პროდუქტებს, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 1,5 მილიონ დოლარს. (ადს).

მქსოველების და მქსოველ ქვეოსტატების საკავშირო კონკურსი

ფართოდ გავშალოთ მუშაობა კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის

რესპუბლიკანური შტაბის გამოყოფა

საქართველოს შალ-აბრეშუმისა, და ბამბის მრეწველობის მუშაკთა კავშირი ჩაება მქსოველებისა და მქსოველ ქვეოსტატების საკავშირო კონკურსში, რომელიც გამოცხადებულია შუისკისა და ვიჩუგსკის მქსოველთა მიმართვის საფუძველზე.

23 ნოემბერს შესდგა აღნიშნული კავშირის ცენტრალური გამგეობის სხდომა, რომელმაც საჭიროდ სცნო, რომ კონკურსში ჩაბმულ იქნეს შალ-აბრეშუმისა და ბამბის ყველა ფაბრიკები. გამოიყო კონკურსის ხელმძღვანელი რესპუბლიკანური შტაბი (ჟიური), რომელშიაც შედიან ამხ. გოლდავა (შალ-აბრეშუმისა და ბამბის მრეწვ. მუშაკთა კავშირი), შ. ბუაჩიძე (გაზ. „კომუნისტი"), მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი; მიკირტუმოვი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), ნადირაშვილი („პროლეტარი ქალი"), ცაგარეიშვილი (მაუდ კამვოლის ფაბრიკა) და ბამბის ფაბრიკის წარმომადგენელი.

შტაბი უხელმძღვანელებს მქსოველებისა და მქსოველ ქვეოსტატების ჩაწერას შინა - საფაბრიკო კონკურსში. მათთვის კონკურსის პირობების დაწვრილებით განმარტებას და შეარჩევს კანდიდატებს საკავშირო კონკურსისათვის.

მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო

(სატრიკოტაჟო ფაბრიკა)

შუისკის და ვიჩუგსკის მქსოველთა მოწოდებას, საუკეთესო მქსოველებზე და მქსოველ ქვეოსტატზე საკავშირო კონკურსის გამოცხადების შესახებ, თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „პროლეტარი ქალი"-ს მუშები აქტიურად გამოეხმაურნენ.

21 ნოემბერს მოეწყო აღნიშნული ფაბრიკის მუშათა მიტინგი, რომელზედაც ფაბრიკის პროფორგანიზაციამ განუმარტა მუშებს კონკურსის პოლიტიკური ამოცანები და მისი ჩატარების პირობები. მუშებმა მასიურად განაცხადეს კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი.

მიტინგმა საჭიროდ სცნო, რომ ძველი მუშები (მეტრიკოტაჟეები), 100 პროცენტით იქნან ჩაბმულნი კონკურსში, ხოლო საუკეთესოები შინა - საფაბრიკო კონკურსში მონაწილეებიდან წარდგენილ იქნან საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას კონკურსში მონაწილეთა შორის. კონკურსში მონაწილეს — არც ერთი გაცდენა, ასეთია ლოზუნგი, რომელიც წამოაყენეს „პროლეტარი ქალი"-ს მუშებმა. მიტინგმა, მიიღო წინადადება, რომ კონკურსში მონაწილეები, მათი ტეხნიკური ცოდნის ამაღლების მიზნით, ასი პროცენტით გაერთიანდენ ტეხნიკის დაუფლების წრეებში.

თითოეულ საამქროში ჩამოყალიბებულია კონკურსის ხელმძღვანელი შტაბები. ჩამოყალიბებულია საფაბრიკო შტაბიც.

21, 22 და 23 ნოემბერს სწარმოებდა კონკურსის მონაწილეთა ჩაწერა. მოსამზადებელი მუშაობა დიდი ხალისით მიმდინარეობს. მეტრიკოტაჟეები იბრძვიან პირველობისათვის.

კონკურსის წარმატებით ჩატარების მიზნით, „პროლეტარმა ქალმა", სოც - შეჯიბრებაში გამოიწვია ლენინაკანის სატრიკოტაჟო ფაბრიკა.

ციტრუსოვან კულტურების განვითარების საქმეში

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მაგალითი უნდა გვიჩვენონ

ფართო გზა სუბტროპიკულ კულტურებს

(ქობულეთის რაიონი)

სუბტროპიკულ კულტურებს ქობულეთის რაიონში საუკეთესო პერსპექტივები აქვს; სწორედ ამიტომაა, რომ მეურნეობის ეს დარგი აქ ფართოდ იკიდებს ფეხს; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქობულეთის რაიონში დაარსდა ლიმონ - მანდარინის სამი საბჭოთა მეურნეობა.

საგაზაფხულო სას. სამ. კამპანიის პერიოდში რაიონმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სუბტროპიკულ კულტურების ნიადაგის მომზადებისა და დარგვის საქმეში. მომზადებული იქნა ნიადაგი სულ 6.744 ჰექტ. და დარგო ნაცვლად გეგმით. გათვალისწინებულ 4.138,6 ჰექტარისა 6.740 ჰექტ. ცალკე კულტურების მიხედვით ნიადაგი მომზადებული იქნა მანდარინისათვის 399 ჰექტ. აქედან დარგო 235 ჰექტ., ლიმონი დარგო 48,3 ჰექტ. მომზადდა ნიადაგი 85.6 ჰექტ., სუბტროპიკულ ხეხილებისათვის ნაცვლად 10 ჰექტარისა მომზადდა ნიადაგი 80 ჰექტ. და სხვ.

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ქობულეთის რაიონმა სუბტროპიკული კულტურებისათვის გეგმის მიხედვით უნდა მოამზადოს ნიადაგი 385.5 ჰექტ. აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 218. ჰექტ., კოლმეურნეობებში 156 ჰექტ. და ინდივიდუალურ მეურნეობებში 12 ჰექტ. აგრეთვე უნდა ჩატარდეს სუბტროპიკულ კულტურების დარგვა საბჭ. მეურნეობებში 117 ჰექ. კოლმეურნეობებში 170 ჰექტ. და ინდივიდუალურ სექტორში 9 ჰექტ. სულ 296 ჰექტარზე.

სამეურნეო წლის დამლევამდე ცოტა დრო დაგვრჩა, მიუხედავათ ამისა, წლის მეორე ნახევრის დავალებათა შესრულებისათვის საჭირო მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გაშლილი. მიწათმოქმედების განყოფილების ცნობით, რაიონში 15 ნოემბრისათვის ციტრუსოვანი კულტურებისათვის ნიადაგის მომზადება ჩატარებული იყო 105 ჰექტარის ნაცვლად 31 ჰექტარზე. ბამბუკისათვის 20 ჰექტარიდან 5 ჰექტარზე. რაც შეეხება დარგვას, ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

სუბტროპიკულ კულტურების ნიადაგის მომზადებისა და რგვის გეგმების შესრულებას საფრთხე მოელის, თუ სასწრაფოდ არ მოხდა სათანადო გარდატეხა. დრო ცოტა დაგვრჩა. რაიონულ და ძირეულ საბჭოთა, პარტიულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის.

ტ. ჩ—ძე.

ციტრუსების გაშენებას—კონკრეტული ხელმძღვანელობა

გეგმის თანახმად, მიმდინარე შემოდგომაზე სუბტროპიკული ხეხილისათვის უნდა მომზადდეს ნიადაგი 171 ჰექტ., აქედან საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოამზადონ 160 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეობებმა 11 ჰექტ.

ამავე პერიოდში მარტო საბჭოთა მეურნეობებმა სუბტროპიკული ხეხილის პლანტაცია უნდა გააშენონ 84 ჰექტარზე.

თუ როგორ მიმდინარეობს ხსენებული გეგმების შესრულება, ამის შესახებ მიწათმოქმედების კომისარიატს არავითარი ცნობები არა აქვს. ვინაიდან უკვე მეორე თვეა რაიონებმა შესწყვიტეს ამ საკითხზე ცნობების მოწოდება. ადგილებიდან კი გვატყობინებენ, რომ სუბტროპიკული ხეხილისათვის ნიადაგის მზადება მიმდინარე შემოდგომაზე დიდათ ჩამორჩა.

საჭიროა მიწათმოქმედების კომისარიატმა დაჩქარებით მიიღოს ზომები საქმის ნამდვილი მდგომარეობის გამოსარკვევად და თავისი კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობით უზრუნველყოს ამ კულტურათათვის დასახულ საშემოდგომო გეგმის მთლიანათ და გადაჭარბებით შესრულება.

ტ.

დავიცვათ ციტრუსები ყინვისა და ქარისაგან

კულტურული მცენარეები, როგორიც არის ლიმონი, მანდარინა, ფორთოხალი, და სხვ. შემოტანილია თბილი ქვეყნებიდან და ისინი ვერ უძლებენ დიდ ყინვებს. ჩვენში გასულ წლებში (1911 — 1928 წლები) შედარებით დიდი ყინვები იყო, რის გამოც თითქმის მთლიანად განადგურდა ციტრუსოვანი მცენარეები, მიუხედავად იმისა, რომ ივი ზღვის პირზეა გაშენებული. ამ გარემოებამ დაბადა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დავიცვათ ციტრუსოვანი კულტურები ყინვისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა ციტრუსების დაცვას ყინვებისაგან, რაც იწვევს დიდ ზარალს. ამიტომ ამ საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. პლანტაციების დაცვა (უმთავრესად მხედველობაში გვაქვს მანდარინა), უნდა ხდებოდეს შემდეგნაირად: მოვკრეფთ თუ არა ნაყოფს, შევკრავთ მანდარინის ხის ტოტებს სამ-ოთხ ადგილას (ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სიდიდის არის მანდარინის ხე), ისე, რომ თავმა წვრილი და კონუსისებური ფორმა მიიღოს, ასე გაკეთებულ მანდარინის ხის ტანს წვიმა აღარ მოხვდება, რადგან მას ფოთლები დაფარავს, ხოლო ყინვისაგან დასაფარავად ქვედა ტანს, რომელსაც ვეღარ წვდება ფოთლები, შემოვაყრით ჰოხიერ მიწას. რომელიც წინასწარ უნდა მომზადდეს შემდეგი წესით: შემოდგომაზე, როცა მიწა დაიბარება, მაშინ მანდარინის ძირის ახლოს დავყრით ერთ ან ორ კალათა ცხენის ახალ განავალს და შევურევთ მას მიწაში. ეს მიწა განირჩევა სხვა მიწისაგან თავისი სინოყიერით და ამავე დროს სითბოთი, ამგვარად, ძირიდან ტოტებამდე მანდარინის ხე იფარება მიწით და ზევითა ნაწილი კი ფოთლებით, (აქ მხედველობაშია მიღებული ის მანდარინა, რომელიც უკვე ნაყოფს გვაძლევს).

ამავე დროს ჩვენ საქმე გვაქვს ქარბუქით გამოწვეულ ყინვასთან. ამ შემთხვევაში მანდარინის ბუჩქს უკეთებთ საფარს იმ მხრიდან, საიდანაც ქარყინვა მოდის. ყველაზე უკეთესია ცოცხალი საფარი, რომელსაც ზამთარში ფოთოლი შერჩება. ასეთი არის დაფნა, რომელიც საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მანდარინის დასაცავად.

უნდა გავახსოვდეს, რომ ცუდ ამინდში, როცა ნიადაგი სველია, მიწის შემოყრა არ შეიძლება, რადგან იგი დაიტკეპნება და პირიქით, ზიანს მიაყენებს ბუჩქს. მანდარინის ბუჩქები ტოტებ შეკრული და ფხვიერი მიწაშემოყრილი რჩებიან მარტამდე. მარტის, ბოლო რიცხვებში კი ვახსნით ჯერ მიწას და შემდეგ ვათავისუფლებთ ტოტებს, ასე მოვიქცევით ყოველწლიურად. ეს საშუალება იძლევა სრულ გარანტიას, რომ ერთი-ორად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და მთლიანად დავიცავთ ციტრუსოვან კულტურებს განადგურებისაგან.

აგრ. დ. შეროზია.

ხელით პლანტაჟის გაძლიერებით შევასრულოთ ნიადაგის მომზადების გეგმა

კოლმეურნეობებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა ჩაის გეგმების შესასრულებლად

უკანასკნელი ხუთდღიურის განმავლობაში (15-დან 20 ოქტომბრამდე) კოლმეურნეობებმა საგრძნობლად შეანელეს ჩაისათვის ნიადაგის მომზადების ტემპები. მაგალითად, თუ 15 ნოემბრისათვის მათ გეგმა შეასრულეს 66,6 პროცენტით, 20 ნოემბრისათვის მიმდინარე წლის მეორე ნახევრის გეგმის შესრულება მხოლოდ 66,7 პროცენტამდე აიდა. აქედან ტრაქტორებით მომზადებული იყო 1.296 ჰექტ. — გეგმის 76 პროცენტი. წლიური გეგმიდან სულ მომზადებულია 6.079 ჰექტ—გეგმის 63,5 პროც.

20 ნოემბრისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ 101,6 პროცენტით. ამასთან ერთად წინ მიდიან; წალენჯიხის, ოკრიბის, ხონის, სამტრედიის, კოდორის, ქობულეთის და ბათომის რაიონები. საგრძნობლად იკლებენ: ლანჩხუთის, ქუთაისის, ვანის და ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები.

„საქ. ჩაის" ცნობების მიხედვით ცალკე რაიონების მხრივ ასეთი სურათი გვქონდა ბათომის რაიონის კოლმეურნეობებს ნიადაგი მომზადებული ჰქონდა 84 ჰექტ., რაც გეგმის 80 პროცენტს შეადგენს, ქობულეთის 61,8 ჰექტ. — გეგმის 72,7 პროც. გალის — 172.9 ჰექტ — გეგმის 50.3 პროცენტ., კოდორის 242 ჰექტ. — 80.7 პროც. ოზურგეთის 686 ჰექტ. — გეგმის 101,6 პროც., ჩოხატაურის 70 ჰექტ. — გეგმის 58,3 პროც., ლანჩხუთის — 42 ჰექტ., — გეგმის 21 პროც., სამტრედიის — 174 ჰექტ. — გეგმის 75,6 პროც., ქუთაისის — 28 ჰექტ., — 46,7 პროც., ხონის — 170 ჰექტ. —გეგმის — 73,9 პროც., ვანის — 9 ჰექტ. — გეგმის 25,7 პროც., ოკრიბის რაიონს 203 ჰექტ., — გეგმის 89,8 პროც., სენაკის — 63 ჰექტ., — გეგმის 63 პროც., მარტვილის 139 ჰექტ., — გეგმის 51,5 პროც., ზუგდიდის 141,4 ჰექტ., — გეგმის 35.3 პროც., წალენჯიხის 181,9 ჰექტ. — გეგმის 72,8 პროც., ჩხოროწყუს — 138,5 ჰექტ. — გეგმის 55,4 პროც. და ხობის რაიონის კოლმეურნეობებს 60 ჰექტ. — გეგმის 50 პროც.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია ნიადაგის ხელით მომზადება. ასე მაგალითად, თუ ტრაქტორებით ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია 70 პროც. (მომზადებულია 1,296,1 ჰექტ.), ხელით მომზადების გეგმა შესრულებულია — 66,9 პროცენტით (მომზადებულია 1,370 ჰექტ.).

ჩამორჩენა კვლავ გრძელდება ნიადაგის ამოძირკვის საქმეში. „საქტრაქტორცენტრი"-ს ცნობის თანახმად 20 ნოემბრისათვის კოლმეურნეობებში სულ ამოძირკული იყო 1690,4 ჰექტ. — გეგმის 31,8 პროც. (გეგმა ითვალისწინებს 5.310 ჰექტ. ამოძირკვას).

წელს საქართველოში ჩაის თესლი უნდა დამზადდეს სულ 327.000 კილოს რაოდენობით ფაქტიურად კი დამზადებულია 183.207 კილო, რაც გეგმის 57 პროცენტს უდრის. ჩაის თესლის დამზადების გეგმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული მხოლოდ სენაკის რაიონს (189.9 პროც.).

ტრიფოლიატის თესლი სულ შეგროვილია [illegible] 2.745 კილოგრამის რაოდენობით, რაც გეგმის 17,2 პროც. შეადგენს.

ჩაის ნიადაგის მომზადება 15 ნოემბრისათვის

„საქ. ჩაი"-ს ცნობების მიხედვით 15 ნოემბრისათვის ჩაის ნიადაგის მომზადების საქმეში კიდევ არ იყო მიღწეული საჭირო გარდატეხა. სულ მომზადებული იყო 3.479,34 ჰექტ. რაც მიმდინარე წლის მეორე ნახევრის გეგმის 66,9 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში ჩაისათვის ნიადაგის მომზადების დარგში რაიონების მიხედვით ასეთი მდგომარეობა გვაქვს:

რაიონები	ჰექტ.	პროც.
ბათომის	114	91,2
ქობულეთის	94,9	65,4
გალის	285,9	59,3
კოდორის	259,97	70,3
ოზურგეთის	924,9	90,1
ჩოხატაურის	68,7	57,2
ლანჩხუთის	39	19,5
სამტრედიის	165,5	71,9
ქუთაისის	21	35
ხონის	272	86,1
ვანის	9	25,7
ოკრიბის	199,6	88,3
სენაკის	63	63
მარტვილის	152,36	43,5
ზუგდიდის	311,4	47,9
წალენჯიხის	227,11	72,1
ჩხოროწყუს	214,8	65
ხობის	56.2	46.6
სულ	3.479,34	66,9

როგორც ვხედავთ საგრძნობლად ჩამორჩენ ლანჩხუთის, ქუთაისის, ვანის, მარტვილის და ზუგდიდის რაიონები, რომელთაც ვერ შესძლეს მუშაობაში ბოლშევიკური ტემპების აღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგის მომზადებაში შედარებით წინ მიდიან ბათომის, ქობულეთის, კოდორის, ოზურგეთის, სამტრედიის, ხონის, ოკრიბის და წალენჯიხის რაიონები.

15 ნოემბრისათვის საბჭოთა მეურნეობების ხაზით მომზადებული იყო 641,79 ჰექტ.—გეგმის 73,7 პროც. ხოლო კოლმეურნეობების მიერ 1259 ჰექტ. გეგმის 66.9 პროც., აქედან ტრაქტორებით სულ მომზადებული იყო 1901 ჰექტ.—გეგმის 72,6 პროც.

წლიური გეგმის შესრულება კი ასეთ სურათს გვაძლევს:—გეგმით მიმდინარე წელში სულ მომზადებული უნდა იქნას 12.147 ჰექტარი ფაქტიურად 15 ნოემბრისათვის მომზადებული იყო 8231 ჰექ.—გეგმის 67.8 პროც., აქედან კოლმეურნეობებში 6007,1 ჰექტ.—გეგმის 62,7 პროც. ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—2.223,9 ჰექტ.—გეგმის 68.5 პროც.

ჩაის საშემოდგომო თესვას ჩაშლა მოელის

(სენაკის რაიონი)

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება ჩაის საშემოდგომო თესვის შესახებ, მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს უყენებს რაიონების პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს. მათ ამ დადგენილების საფუძველზე უნდა შესძლონ ჩაის თესვის დარგში მიცემულ დავალებათა მთლიანად შესრულება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული ორგანიზაციება ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ დადგენილების პრაქტიკულად გატარებას. მაგალითისათვის ავიღოთ სენაკის რაიონი, სადაც ეკის და ნოქალაქევის სასოფლო საბჭოებს გარდა არც ერთ სასოფლო საბჭოს არ დაუწყია ჩაის საშემოდგომო თესვა.

სენაკის სამანქანო სატრაქტორო სადგურს მიუხედავად რაიკომის ბიუროს მითითებებისა, დღემდე არ დაუწყია მუშაობა ნიადაგის მოსამზადებლად.

წელს შემოდგომაზე გეგმით რაიონში ჩაი სულ უნდა დაითესოს 102 ჰექტარზე. აქედან მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობაა დათესილი. ყოველივე ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩაის საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებას.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს გარდატეხა, სამ. სატრ. სადგურმა სასწრაფოდ უნდა გაშალოს დამკვრელი მუშაობა მიცემული გეგმის შესრულებისათვის.

ნ. აბ—ძე.

ლორიას ბრიგადა მოწინავე რიგებში

(სოფ. საჯევახო, სამტრედიის რაიონი)

საჯევახოს სას. საბჭოში ჩაისათვის ნიადაგის მომზადება თვითდინებაზეა დაყრდნობილი. კოლმეურნეობებში ადგილი აქვს მორიგეობის პრაქტიკას ჩაისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში.

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში საჯევახოს სასოფლო საბჭოში ჩაისათვის ნიადაგი ხელით მომზადებული უნდა იქნას—32 ჰექტ., ფაქტიურად 10 ნოემბრისათვის მომზადებული იყო 12,21 ჰექტარი, რაც გეგმის 30,5 პროცენტს შეადგენს.

ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმების შესასრულებლად საუკეთესოდ იბრძვის სოფ. საჯევახოს კოლმეურნეობა „წითელი სხივი": აღნიშნული კოლმეურნეობის № 4 ბრიგადა და ამხ. ლორიას ხელმძღვანელობით ვადაზე ასრულებს ყველა დავალებებს ჩაის დარგში.

საჭიროა საჯევახოს სოფლის საბჭომ, პარტიულ და კომკავშირის უჯრედებმა გააძლიერონ ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა ჩაისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში კოლმეურნეობებზე. ლორიას ბრიგადის მაგალითს უნდა მიბაძონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობების ჩაის სპეციალური ბრიგადებმა.

კოლმეურნე.

სოციალისტურ ქვეყანას—კარგი გზები

ბრძოლა უგზოობას

საქართველოში 6500 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია.

ეს გზები უშუალოდ ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას, სოფლის მეურნეობას და ამ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს.

ეს გზები ამჟამად მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ყველა ჩვენი ადგილობრივი გზების 80 პროც. პირველ ავდრისთანავე გაუვალი ხდება.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიალიზაციის პირველი ხუთწლედი წარმატებით მთავრდება და სადაც საერთოდ მშენებლობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, გზათა მშენებლობის აქამდე უყურადღებოთ დატოვება პირდაპირ მიუტევებელ დანაშაულს უდრის.

საკითხი ისმება:—არსებობს თუ არა საქართველოში საჭირო პირობები იმისათვის, რომ ადგილობრივ გზათა მშენებლობა ჩამორჩენილი კი არა პირიქით, წარმატებით მიმდინარეობდეს და წინ უსწრებდეს სხვა მშენებლობის ტემპებს.

ეს პირობები არსებობს.

სავალდებულო საგზაო ბეგარით საქართველოში ადგილობრივ გზებზე ყოველწლიურად თავისუფლად შეიძლება გამოყვანილ იქნას — 1,800.000 მუშა და 850,000 ურემი. ამ უფასო მუშა-ხელით შეიძლება შესრულდეს 12.000.000 მანეთის სამუშაო. ამას უნდა დაემატოს ის, რომ საქართველოში დიდი ხანია არსებობს „საგზაო ტრადიცია" და მრავალ რაიონებში სოფლის მშრომელი მოსახლეობა ხალისით ეგებება საგზაო სამუშაოებს.

რაც შეეხება ქვის მასალას და ხე-ტყეს, ისიც ბლომად მოიპოვება ჩვენში.

ამგვარად, მაშინ, როდესაც სხვა მშენებლობებს ხშირად ფულითაც უჭირთ მუშახელის და სამშენებლო მასალების შოვნა, ადგილობრივ გზებს ყოველივე ეს მოეპოვება უფასოთ და განუსაზღვრელად.

მაგრამ ადგილები ამ პირობებს ვერ იყენებენ. ის ფაქტი, რომ გასულ წელს ოზურგეთის, ზუგდიდის, სტალინისის, თბილისის, სიღნაღის, გურჯაანის და მრავალმა რაიონებმა საგზაო ბეგარის მინიმალური საკონტროლო ციფრები რაღაც 5—10 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მარტვილის, ბაშკიჩეთის ალბულაღის, ვანის, ბაღდადის, ყიათურის, ქუთაისის და ზესტაფონის რაიონებმა თითქმის ას პროცენტს გადააჭარბეს, გვიჩვენებს რომ საქართველოში საგზაო ბეგარის მარაგი დიდია და მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება თუ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები მოინდომებენ და უყურადღებოთ არ დასტოვებენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ამ მეტად საპასუხისმგებლო ფრონტს.

საჭიროა ყურადღების გამახვილება ამ მნიშვნელოვან საქმეზე. რაიონში მომუშავე ამხანაგებმა უნდა იბრუნონ პირი გზათა მშენებლობისაკენ და დარაზმონ სოფლის მშრომელი მოსახლეობა გზათა მშენებლობის ფრონტზე საბრძოლველად. ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას ამ საქმეში ოპორტუნისტულ თვითდინებაზე დაყრდნობა და დაუყოვნებლივ მოისპოს დამახინჯებანი საგზაო ბეგარის გამოყენებაში და საგზაო თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში.

მ. ტ.

საგზაო მშენებლობა აბაშის რაიონში

საგზაო მშენებლობას და ხიდ-ბოგირების თავის დროზე შეკეთებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოსავლის აღებისა და შემოტანის საქმეში, ისე შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის უზრუნველყოფისათვის.

აბაშის რაიონში ამ მიმართულებით მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. გზების შეკეთება დაიწყო 25 აგვისტოს. საკავშირო და რესპუბლიკანურ გზებზე უნდა დაყრილიყო ხრეში 1250 კილომეტრის მანძილზე, ფაქტიურად დაიყარა 1500 კილომეტრზე (გეგმის 120 პროც.). ეს მუშაობა გრძელდება, საკავშირო მნიშვნელობის გზაზე კაპიტალური რემონტი გაუკეთდა მდ. აბაშის ხიდს. სარაიონო გზებზე მუშაობა დაიწყო 10 აგვისტოს. ამ გზებზე საჭირო იყო ხრეშის დაყრა 38,000 კუბომეტრის რაოდენობით. მაგრამ დღემდე დაყრილია მხოლოდ 26.500 კუბომეტრის რაოდენობით (გეგმის 80 პროცენტი). ადგილობრივ საუბნო გზებზე ხრეში უნდა დაყრილიყო 35790 კუბომეტრის მანძილზე, დაყრილია 27,000 კ.მ. (გეგმის 90 პროცენტი):

ამასთანავე რაიონში სარაიონო საგზაო სექციის გეგმის თანახმად უნდა აგებულიყო ექვსი ახალი ხიდი, აქედან აგებულია —4.

სუჯუნის სასოფლო საბჭომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ხიდის აგება, რომელიც უკვე მზად უნდა იყოს. ასევე ვერ მოახერხა ხიდის დამთავრება ონტოფოს სასოფლო საბჭომ. მათ უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები ხიდების შესაკეთებლად.

რაიონში არსებული ხიდები, რომლებიც მოითხოვდენ კაპიტალურ რემონტს, შეკეთებულია. აღნიშნულ მიღწევებს თან ახლავს უარყოფითი მხარეებიც. როგორც საკავშირო, ისე სარაიონო და საუბნო გზებს ადგილი აქვს ხრეშის სუსტად დაყრას და გაშლას (ახ. აბაშა, ნორიო, ნაესაკოვო და სხვ.). სათანადო ყურადღება არ ექცევა თხრილების და არხების გაყვანას, რის გამო დაგუბებული წყლები აფუჭებენ გზებს და ხელს უშლიან მიმოსვლას (სუჯუნა, ძვ. აბაშა, ნორიო, ახ. აბაშა და სხვ.).

ადგილი აქვს საგზაო მშენებლობისა და შრომის ბეგარის მოხდის აღრიცხვის დაუშვებელ გაჭიანურებას მთელ რიგ სოფსაბჭოების მიერ.

საგზაო მშენებლობისათვის გაწერილია სხვადასხვა ორგანიზაციებზე თანხები, მაგ. კოოპერაციაზე 500 მან., აბაშის სამანქანო-სატრაქტორო სადგურზე 1,000 მან და სხვა. მაგრამ ეს თანხა ჯერ კიდევ არ არის გადახდილი.

საგზაო მშენებლობის საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ძვ. აბაშის, სუჯუნის და ნაესაკოვოს სასოფლო საბჭოები. ყველაზე წინ დგას სეფიეთის სასოფლო საბჭოს საგზაო სამშენებლო სექცია, რომელსაც უნდა მიბაძონ სხვებმა.

საჭიროა მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება და საგზაო მშენებლობაში არსებული დეფექტების აღმოფხვრა.

რ. ქ—ვა.

საგზაო მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს

(გარე-კახეთი)

გარე კახეთის რაიონში საგზაო მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 29 კილომეტრი გზის შეკეთება. შეკეთებულია 6 ნახევარი კილომეტრი. კაპიტალურად უნდა შეკეთებულიყო 18 კილომეტრი მაგრამ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. ახალი მშენებლობა გეგმით არ ყოფილა გათვალისწინებული, სამუშაო სრულდება [illegible], მაგრამ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღირებულებაზე მეტი ჯდება.

ადგილი აქვს საგზაო თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას (მაგიდების [illegible] სესხად მიცემა ცალკე ორგანიზაციებისა და პირებისათვის და სხვ.), საგზაო სექციას დღემდე არა ჰყავს ცალკე პასუხისმგებელი მომუშავე პირი ამ დარგში. სექციის [illegible] ხელმძღვანელობას უწევს რაიაღმასკომის კომუნალური განყოფილება, რომელიც ვერ ადევს ყველა საქმეს, [illegible] აქვს ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების გადახარჯვას და სხვ.

[illegible] საგზაო სექციის მუშაობა და მიაღო [illegible] ნაკლის გამოსასწორებლად [illegible] ბუხჰალტერ-სტატისტიკოსი [illegible] რეფორმის დარღვევისათვის, დასვა საკითხი რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე საგზაო სექციისათვის ცალკე პასუხისმგებელი მომუშავის გამოყოფის. [illegible] სექციას გააძლიეროს მუშაობა და გამოასწოროს შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ბა—ლი.

ხიდი საფრთხეში

(სოფ. ბომბოლი, მარტვილის რაიონი)

სოფ. [illegible] მდინარე აბაშაზე ორი წლის წინად აგებული იქნა ხიდი, რაზედაც დაიხარჯა რამოდენიმე ათასი მანეთი, მრავალი შრომა-დღე, ხე-ტყის მასალა და სხვ.

ხიდი აერთიანებს ხუთ სოფლის თემს მარტვილის სარაიონო გზასთან. მაგრამ ვკითხოთ — როგორ მდგომარეობაშია დღეს ეს ხიდი? დღიდან მისი აგებისა, მისდამი არავის მიუქცევია ყურადღება და არ შეუკეთებია. ხიდს გვერდების საფარი დაულპა და მთლად დაიმტვრა, რის გამო იქ გავლა სახიფათოა, აგრეთვე ხიდზე დაჭედებული ფიცრები ლპება, ზოგან ფიცრები ამძვრალია და იქ ურმით, ან ცხენით გასვლა საშიშროებას წარმოადგენს. ხიდს აღარ აქვს ზოგიერთი ბურჯი და სხვ.

ხუთი სოფლის საბჭო და სხვა ორგანიზაციები ამ საზოგადოებრივ - ქონების დაღუპვას გულგრილად შესცქერიან.

საჭიროა რაიონულ მუშაკებისა და საგზაო სექციის ჩარევით სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება დაღუპვის გზაზე მდგარ ხიდის დაუყოვნებლივ შესაკეთებლად, სანამ ის მთლიანად განადგურებულა.

აკ. ესიავა.

მენდელეევის მეექვსე საკავშირო ყრილობის შედეგები

ამას წინად ხარკოვში ჩატარებულ მენდელეევის მეექვსე ყრილობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ყრილობის წინაშე, რომელსაც 3000-ზე მეტი ქიმიური აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის საუკეთესო წარმომადგენელი დაესწრო, იდგა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები.

მის მუშაობაში მეტად დიდი ადგილი ეჭირა თეორიულ პრობლემებს, აქ მოსმენილი და განხილული იყო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების უდიდესი მიღწევები, რომელნიც ბოლოს დაგვირგვინდა ლითიუმის ატომის გულის დაშლით, თუჯის ღუმელში ჟანგბადის გამოყენებით, რასაც შეუძლია მეტალურგიაში მთელი გადატრიალება მოახდინოს. მაგრამ ეს ყრილობა არ ატარებდა აკადემიურ ხასიათს, მოწყვეტილს ქიმიური პრაქტიკისა და ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებისაგან. სტალინის სიტყვით—„თეორია უმიზნოა, თუ ის არ არის დაკავშირებული რევოლუციონურ პრაქტიკასთან ზუსტად, ისე როგორც ბრმაა პრაქტიკა, თუ მას გზას არ უნათებს რევოლუციონური თეორია". სწორედ ქიმია არის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ყველაზე მძლავრი ფაქტორი.

შეუძლებელია მეცნიერებისა და ტეხნიკის, თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან გათიშვა. ენგელსი შტარკენბურგს სწერდა: „თუ, როგორც თქვენ ამტკიცებთ, ტეხნიკა მნიშვნელოვანად დამოკიდებულია მეცნიერების მდგომარეობაზე, პირუკუ ლმა—მეცნიერება კიდევ მეტად დამოკიდებულია ტეხნიკის მდგომარეობასა და მოთხოვნილებაზე. თუ საზოგადოებას უჩნდება ტეხნიკური მოთხოვნილება, ეს მეცნიერებას გაცილებით მეტ დახმარებას უწევს, ვიდრე ათი უნივერსიტეტი. მთელი ჰიდროსტატიკა (ტორიჩელი და სხვ.) ცხოვრებაში გამოწვეული იყო იტალიაში მე-16 და მე-17 საუკუნეში მთის ნაკადების რეგულირების საჭიროებით".

ყრილობაზე, მართლაც, თეორია ორგანიულად იყო დაკავშირებული პრაქტიკასთან, ქიმიური თეორიის პრობლემები წარმოების აქტუალურ საკითხებთან. ყრილობის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო ქვეყნის ტეხნიკური რეკონსტრუქციის ინტერესებით პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე.

კატალიზის პრობლემამ ყრილობის მუშაობაში მეტად საპატიო ადგილი დაიჭირა. კატალიზატორი აჩქარებს რეაქციის სვლას და განსაზღვრავს ახალი ნაწარმის გამოსავალს. ქიმიური გარდაქმნის სიჩქარე დაკავშირებულია სახალხო მეურ. ზრდასა და მშრომელი მასების გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან. ამ დარგში ქიმიის მნიშვნელობა განუსაზღვრელია, აკად. სემიონოვის სიტყვით—„ქიმიურ დინამიკაზე სწავლების შექმნა. წარმოადგენს ჩვენი დროის ერთ უმთავრეს ფიზიკო-ქიმიურ ამოცანას". ჯერ კიდევ ენგელსმა გამოთქვა ის აზრი, რომ ფიზიკისა და ქიმიის შეხების ადგილს უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენებს უნდა მოველოდეთ.

ყრილობამ დეტალურად განიხილა ძირითადი ქიმიური მრეწვ. ყველაზე მწვავე პრობლემები და მასთან დაკავშირებული მოსავლიანობის ზრდისა და სასოფლო მეურნეობაში ქიმიის ჩანერგვის საკითხები, ჩვენი სოციალისტური მინდვრების—საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მოსავლიანობის აწევა ერთ უდიდეს ამოცანას წარმოადგენს. აქ აგრო-ქიმიის როლი განუსაზღვრელია, აზოტი, ფოსფორი, კალიუმი—ესენი მოსავლის ხორბლის, ტეხნიკური კულტურების და სხვ. ახალ მილიონ ტონებს. ჩვენ კარგა ხანია ვღებულობთ ფოსფორის სასუქებს; მოვაწყვეთ აზოტის სასუქების წარმოება; ურალზე აღმოვაჩინეთ ქვეყნიერებაზე უდიდესი სოლიკამის კალიუმის ჩანაწოლები. ჩვენ უნდა ვაქციოთ თვითეული კოქსის დანადგარი პურის ქარხნად, აზოტის წარმოებისათვის ნარჩენების გამოყენებით. თუჯის გამოდნობისას ჟანგბადის ჩაბერვა იძლევა ამიაკის სინთეზისათვის გამოსადეგ ბრძმედის აირს. რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებაში ახალ ბრწყინვალე პერსპექტივებს შლის.

სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობის აწევა დაკავშირებულია საკვებ და მსუბუქ მრეწველობაში ქიმიის გამოყენების ზრდასთან, რაც თავის მხრივ გადამწყვეტია მშრომელი მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით დაკმაყოფილებასთან ამ საკითხებმაც ყრილობაზე საკმაო ყურადღება მიიქციეს.

სახალხო მეურნეობის განვითარების ხაზში მეტალურგიას უდიდესი როლი ეკუთვნის. ქიმია თანდათან ინტენსიურად იწყებს მეტალურგიაში შეჭრას და ხელს უწყობს ნედლეულისა და სათბობის საუკეთესოთ გამოყენებას, სხვადასხვა ნარჩენების სრულ უტილიზაციას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რკინის პირდაპირი აღდგენა, ტორფის დაკოქსვა, ალმადნის ნამწვის გადამუშავება, თუჯის გამოდნობა [illegible] ტორფზე და სხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფერად მეტალურგიასთან ქიმიის დაკავშირებას, რომელიც იძლევა გოგირდს, გოგირდმჟავას, [illegible] თუჯსა და ფოლადს; მეტალურგიის კომბინირება ნახშირქიმიასთან (კოქსის წარმოებასთან) აზოტ-ფოსფატის სასუქის მრეწველობის, ანილინ-საღებავების, ფეთქადი მასალების, სინთეზური საპონის-და სხვ. დარგების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. მაგრამ მეტალურგიის ქიმიზაციის საქმეში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საკითხებია შესასწავლი და გადასაჭრელი.

ყრილობამ დიდი ყურადღებით განიხილა ელექტრო-ქიმიური, წარმოების კონტროლის, ქიმიური მანქანათმშენებლობის, მინერალური და ორგანიული ნედლეულის და მათი კომპლექსური გამოყენების და სხვ. საკითხები.

ქიმია, რომელიც მოითხოვს მრეწველობის სხვადასხვა დარგების კომბინირებას, ვერ იპოვის კაპიტალისტური საწარმოო დამოკიდებულების ზღუდეებს. ქიმია ნაყოფი თავისი სიძლიერით შეიძლება გაიშალოს მხოლოდ გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის, პროლეტარული დიქტატურის პირობებში. აქ ქიმია ებრძვის სიკვდილს, იბრძვის პურისათვის, ნედლეულის ახალ სახეებისათვის შრომის გაადვილებისა და [illegible] კულტურის აყვავებისათვის. იქ კი ქიმია უმთავრესად ვითარდება, როგორც სიკვდილის საშუალება. ახალი იმპერიალისტური ომების და ინტერვენციის იარაღი.

სწორედ ამიტომ მენდელეევის ყრილობამ მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნიერების ქიმიკოსებს: „გამოააშკარავეთ თვითეულმა თავის ქვეყანაში კაპიტალისტების ბოროტი ზრახვები და მოქმედებანი.. ნუ მოსცემთ საშუალებას, რომ ქიმია—პროგრესის მძლავრი ბერკეტი გადაიქცეს სიცოცხლის, შრომისა და კულტურის მოსისხლეთა ბარბაროსული განადგურების იარაღად. ომი—ომს! საბჭოთა ქიმიკოსები ომის წინააღმდეგი არიან, მაგრამ ისინი დარაჯად უდგანან თავის სოციალისტურ სამშობლოს".

საბჭოთა ქვეყანა სწრაფი ტემპით მიდის წინ გერმანელთა დელეგაციის სახელით პროფესორი მეისნერმა განაცხადა: „ყოველივე აქ ნახულმა ჩვენზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა; ისეთი ტემპები, რომლებსაც ადგილი აქვს თქვენში, არც ერთ ქვეყანაში არ არის.. ჩვენ ვამაყობთ თქვენი წარმატებებით და გულდასმით ვადევნებთ თვალს თქვენს „მუშაობას, რომელსაც სარგებლობა მოაქვს მთელი კაცობრიობისათვის"..

მეორე ხუთწლედში ჩვენში უკლასო სოციალისტური საზოგადოება უნდა შეიქმნას, რომლის ჩამოყალიბებაში ქიმიას [illegible] აქვს უდიდესი როლი.

მენდელეევის მეექვსე ყრილობამ წარმატებით შეასრულა მის წინაშე დასმული ამოცანები და დარაზმა სამეცნიერო-ტეხნიკური ძალები ბრძოლისათვის ძლიერი საბჭოთა ქიმიური მრეწველობის შესაქმნელად და მეცნიერების ასაყვავებლად.

განსაკუთრებული ენერგიის დაძაბვა [illegible] ამ ფრონტზე გვმართებს საბჭოთა საქართველოში, სადაც ქიმიური მრეწველობა და ამ დარგში სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობა მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია.

ორი წლის შემდეგ, მენდელეევის დაბადების ასი წლის თავზე, ლენინგრადში შესდგება შემდეგი ყრილობა, რომლის მოსამზადებლად გამოყოფილია საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგ. კომიტეტის წევრი ინჟ. ვ. კაკაბაძე.

ბამბა

არც ერთი კილოგრამი ბამბა აუღებელი

ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში

(სიღნაღი, ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.)

26 ნოემბრისათვის ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში აკრეფილი იყო 169 ტონა ბამბა, ანუ გეგმის 28 პროცენტი.

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში აიკრიფა 10 ტონა ბამბა. ამჟამად მეურნეობაში მუშაობს 640 კაცი.

ვ. მთვრალაშვილი.

ბამბის შესყიდვა 26 ნოემბრისათვის

საქ. ბამბის დამზადების კომიტეტის ცნობით, 26 ნოემბრისათვის საქართველოში სულ (საბჭოთა მეურნეობების ჩათვლით) შესყიდული იყო 2574,7 ტონა ბამბა, რაც გეგმის 26,6 პროცენტს შეადგენს. აქედან კოლმეურნეობების ხაზით შესყიდული იყო 970.1 ტონა—გეგმის 32,5 პროც., ინდივიდუალური ღარიბ-საშუალო მეურნეობებიდან 1.232.7 ტონა—გეგმის 27.6 პროც. ხოლო მტკიცე დავალებით კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებიდან 57.1 ტონა—გეგმის 18.3 პროც., რაიონების მიხედვით მტკიცე დავალება კულაკებს შესრულებული ქონდათ; ამგვარად: ბორჩალოს რაიონში — 14.4 პროც., ლიუქსემბურგის — 42.9 პროც., სიღნაღის—23,1 პროც. და გარე-კახეთის რაიონში—2 პროცენტით.

საბჭოთა მეურნეობებიდან სულ შესყიდული იყო 314.8 ტონა ანუ საბჭოთა მეურნეობისათვის მიცემული გეგმის 16,5 პროცენტი. აქედან 25 ნოემბრის ცნობის მიხედვით ყარაიას საბჭ. მეურნეობაში შესყიდული იყო 165,8 ტონა, გეგმის 33,9 პროც. ხოლო ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში (22 ნოემბრისათვის)—149 ტონა გეგმის 10,5 პროცენტი.

რაიონების მიხედვით ბამბის შესყიდვის საქმეში 26 ნოემბრისათვის ასეთი სურათი გვქონდა:

რაიონები	ცნობ. მიღების დრო	შესყიდულია (ტონობით)	გეგმის (პროც.)
ბორჩალოს	24 XI	1148	27,9
ლიუქსემბ.	24 XI	222	43,5
ყარაიას	24 XI	525,8	30.7
სიღნაღის	23 XI	596	21,4
გურჯ.	19 XI	61,2	22,3
გარე-კახ.	19 XI	26,7	9,9
სულ		2.574,7	26,6

მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას ბამბის ალებაში

საქ. მეზამბეობის კომიტეტში მიღებული ცნობების მიხედვით 26 ნოემბრისათვის საქართველოში სულ (საბჭოთა მეურნეობების ჩათვლით) ალებული იყო 2.716,7 ტონა ბამბა, რაც გეგმის 28 პროცენტს შეადგენს.

აქ. ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში (ცნობა ალაზნის საბჭოთა მეურნეობის შესახებ ალებულია 22 ნოემბრისათვის) აკრეფილი იყო 149 ტონა, ანუ გეგმის 10,4 პროცენტი. ყარაიას საბჭოთა მეურნეობაში (ცნობა ალებულია 25 ნოემბრისათვის)165,8 ტონა,—გეგმის 33,9 პროცენტი.

კოლმეურნეობებში სულ ალებული იყო 1047,5 ტონა, — გეგმის 35.2 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებში (ღარიბ-საშუალო გლეხობა) 1.271,2 ტონა—გეგმის 28.4 პროც., კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მტკიცე დავალებით ალებული ქონდა 83,2 ტონა—გეგმის 26.6 პროცენტი.

საბჭოთა მეურნეობების ჩათვლით, ცალკე რაიონებში ბამბის ალების მხრივ ასეთი მდგომარეობა გვაქვს: ბორჩალოს რაიონში (სათანადო მასალების წარმოუდგენლობის გამო ცნობა ალებულია 21 ნოემბრისათვის) ალებულია 1.235.7 ტონა,—გეგმის 30.1 პროც., ლიუქსემბურგის —(ცნობა ალებულია 23 ნოემბრისათვის) 510 ტონა.—გეგმის 44.1 პროც., ყარაიას — (რაიონის ცნობა ალებულია 23 ნოემბრისათვის, ხოლო საბჭოთა მეურნეობის 25 ნოემბრ.) 566 ტონა,—გეგმის 33 პროც., სიღნაღის — (23 ნოემბრისათვის) 590 ტონა,—გეგმის 21.2 პროც., გურჯაანის — (22 ნოემბრისათვის) 64,2 ტონა, გეგმის 22,3 პროც. და გარე-კახეთის (25 ნოემ.) 35 ტონა, გეგმის 11,7 პროც.

ბამბის ალების შესახებ წინა დღეების ცნობებში ჩვენ ვიძლეოდით მხოლოდ გლეხური სექტორის (კოლმეურნეობები ერთპ. მეურნეობები და კულაკურ შეძლებული მეურნეობები) მდგომარეობას. დღევანდელ (ზემოდ მოყვანილ) ცნობაში კი, შეტანილია ცნობები საბჭოთა მეურნეობებიდანაც. ბამბის ალების საერთო რესპუბლიკანური პროცენტის შემცირება, წინადღეებთან შედარებით. გამოწვეულია საბჭოთა მეურნეობების მკვეთრად ჩამორჩენით.

მიუხედავად მთელი რიგი რაიონების ბამბის ალების საქმეში ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა, რაც უნდა აიხსნას რაიონული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით ბამბის ალების დარგში. ამ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. ზამთარი ახლოვდება. დრო ცოტა დარჩა. საჭიროა მთელი ძალების დარაზმვა იმისათვის, რომ არც ერთი კილოგრამი ბამბა არ დარჩეს აუკრეფავი.

გარდავქმნათ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა

თ.-ა. ცენტრალურ საბჭოს მე 3 პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე

განვამტკიცოთ თ.-ა. ორგანიზაციების ფინანსიური ბაზა

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს მე-3 პლენუმმა, საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა სამხედრო-მასიური მუშაობის გაძლიერება და პირველ რიგში მშრომელთა ფართო მასების მომზადება სახროლო-ტაქტიკურსა და საჰაერო თავდაცვის დარგში.

ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თავდაცვითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება მოითხოვს მტკიცე მატერიალურ-ფინანსიური ბაზის შექმნას, რაც თავის მხრივ დიდათ შეუწყობს ხელს სამიზნო წერტილების და წრეების იარაღით, სასწავლო ხელსაწყოებით და ნივთებით მომარაგებას. აქედან გამომდინარეობს სამხედრო სწავლების ხარისხი და ჩვენ საშუალება მოგვეცემა თ.-ა. ორგანიზაციებიდან გავზარდოთ წითელი არმიის ნამდვილი დამატებითი რეზერვები.

სასროლო წერტილების სათანადო მოწყობა და სამხედრო სწავლების გაშლა თ.-ა. ორგანიზაციებისაგან მოითხოვს დიდ ფინანსიურ დაბანდებას. როგორი ფინანსიური მდგომარეობაა ამჟამად თ.-ა. ორგანიზაციაში და შეუძლებს თუ არა ის პრაქტიკულ მუშაობის გაშლას? -პასუხი ერთია: დღევანდელ სახსრებით წყაროების მიხედვით ძალზე გაძნელდება. საქმე იმაშია, რომ საზოგადოების მატერიალური რესურსები ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. თუ დროზე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები, საზოგადოების მიერ დაწყებულ პრაქტიკულ მუშაობას ჩაშლა მოელის.

ფინანსიურ—მატერიალურ ბაზის გაძლიერების საქმეში ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა საწევრო გადასახადები—ეს უბანი ჩვენი ორგანიზაციების სიცოცხლეში სამწუხაროდ მივიწყებულია. აბა რით აიხსნება ის, რომ საწევრო გადასახადების აკრეფა მთელ რიგ უჯრედებში არ აღემატება 8—35 პროც.

თვითეული ავიაქიმელი სრული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს და საზოგადოების მატერიალური ბაზის განმტკიცებაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა. პირველ რიგში კი თვით უნდა შეიტანოს თავისი საწევრო წილი და დაფაროს დავალიანება.

საზოგადოებრივ ფინანსიურ ბაზის განმტკიცების ირგვლივ ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა. თვითეულ მშრომელს უნდა განემარტოს თავდაცვითი მუშაობის გაშლისათვის საწევრო შესატანის მნიშვნელობა და მიღწეულ უნდა იქნას საწევრო გადასახადების 100 პროცენტით შეგროვება.

საწევრო ანარიცხების შეგროვება უნდა ჩატარდეს სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის ნიშნის ქვეშ. ამ მიმართულებით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული კედლის და მრავალტირაჟიანი გაზეთები.

ს. გოლ—ძე

პროფკავშირთა დახმარება უნდა გაუმჯობესდეს

(ბაღდათის რაიონი)

საკავშირო მე-3 პლენუმის და საქ. მე-4 პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე [illegible] თოდ გაიშალა მუშაობა ბაღდათის რაიონის თ.-ა. ორგანიზაციაში. რაისაბჭომ დროულად დაგზავნა შესაფერისი დირექტივები ადგილებზე ძირეული უჯრედების შესაწყობისათვის. გამოყენებულია თ.-ა. ორგანიზაციის მთელი აქტივი, რომლებიც მიმაგრებულია უჯრედებზე და მუშაობას ატარებენ რაისაბჭოს მიერ მიცემულ კონკრეტულ გეგმის თანახმად.

შემოწმების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. რისთვისაც მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები.

ჩვენი რაიონის მუშაობაში სუსტ უბანს წარმოადგენს ის, რომ პროფორგანიზაციები ვერ გვიწევენ დახმარებას. მათ ვერ შესძლეს იმ დირექტივების ცხოვრებაში გატარება, რომლებიც ეხება თ.-ა. ორგანიზაციების საქმეს და აქედან გამომდინარე თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

მომავალში საჭიროა მეტი დახმარება და უშუალო მონაწილეობის მიღება პროფკავშირების ორგანიზაციების მხრით.

ბაღდადის რაისაბჭოსთან 6 არსებული შტაბი გააქტიურებულ მუშაობას აწარმოებს ძირეულ უჯრედების შემოწმების საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

ა. გუ—რიძე

ავიაქიმელ ქალთა შორის მუშაობა სუსტია

(მქერავი № 1)

„მქერავი № 1"-ის თ.-ა. საბაზო უჯრედმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია და მათი ჩაბმა თ.-ა. ორგანიზაციაში. აქ მუშაობის ახალ წესზე გარდაქმნა არაა დამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს. რის შედეგად ფაბრიკაში მომუშავე 1300 კაციდან—თ.-ა. საზოგადოების წევრად ითვლება მხოლოდ 420 კაცი, ე. ი. საერთო რიცხვის 36 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხანაში მომუშავეთაგან ქალები შეადგენენ 82 პროცენტს, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციაში ჩაბმულია მათი უმნიშვნელო პროცენტი. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ქალთა შორის მუშაობა უჯრედში ჩამორჩენილია. თუმცა ქარხანასთან არსებობს სასროლო, პირველ დახმარების და ქალთა აქტივის მოსამზადებელი წრეები. მაგრამ მომზადების ხარისხი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ჯერ კიდევ არ არის ავიაქიმის წევრთა შორის განმტკიცებული დისციპლინა ხშირია მეცადინეობის ჩაშლა და მსმენელების მიერ გაკვეთილის გაცდენა.

სუსტია ზემდგომ ორგანიზაციის დახმარება და ხელმძღვანელობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ღირსია თ.-ა. რაისაბჭოს ქალთა შორის მომუშავე სექტორი, რომელსაც უნდა გაეშალა აგიტ-მასიური მუშაობა, მოეწყო იმის თ.-ა. წრეები და [illegible] ის შემდეგ სამხედრო მომზადების [illegible] ფილიების დახმარებით უნდა ეწარმოებინა პრაქტიკული მუშაობა. ამჟამად კი ის [illegible] ისეთ წარმოება-დაწესებულებებს, რომლებშიც მუშაკებს უმთავრესად ქალები შეადგენენ.

შედარებით კარგი მდგომარეობაა უჯრედის ფინანსიურ ბაზის განმტკიცების საქმეში. მე-6 ავიალატარიის ბილეთების გავრცელების საკონტროლო ციფრები შესრულებულია გადაჭარბებით. საწევრო გადასახადები აკრეფილია 70 პროც. თავდაცვითი მუშაობის გაშლისათვის უჯრედში დამუშავდა საკუთარი ნებაყოფლობითი შენატანის შეგროვების შესახებ.

მქერავის საბაზო უჯრედმა თავის მუშაობა უნდა მიუდგაროს ქარხნის პირობებს.

არც ერთი მშრომელი ქალი არ უნდა დარჩეს თ.-ა. საზოგადოების გარეშე.

ს.ბ.

ზურგის მნიშვნელობა მომავალ ომში

სამხედრო ოპერაციების ხასიათის მიხედვით მომავალ ომს ექნება მთელი რიგი თავისებურებანი.

ეს თავისებურებანი პირველ რიგში განისაზღვრება ბრძოლაში ყველა თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რომელთაგან ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი უკავია ავიაციასა და ქიმიას.

დღევანდელ მომენტში ისე, როგორც არასოდეს, კავშირი ფრონტსა და ზურგს შორის გახდა მჭიდრო, აუცილებელი და გადამწყვეტი. ფრონტის მდგომარეობა განისაზღვრება ზურგის მდგომარეობითა და სიმტკიცით.

რომ გავითვალისწინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ზურგს თანამედროვე ომში, ამისათვის საჭიროა წარმოვიდგინოთ ის ამოცანები, რომლებიც ეკისრება წარმოებას, რკინის გზის ტრანსპორტს და სასოფლო მეურნეობას თავდაცვის საქმეში.

მრავალმილიონიანი არმიები მოითხოვენ შეიარაღების ზრდას გაუმჯობესებული ტექნიკური საშუალებებით, საჭიროა აუარებელი მატერიალური საშუალებანი, რომლებიც უნდა დაამზადოს წარმოებამ მებრძოლი ქვეყნების სახალხო მეურნეობის ორგანიზმის დაძაბულ მდგომარეობის დროს.

მაგალითად, წარსულ იმპერიალისტურ ომში გერმანიის მრეწველობამ მარტო 1917 წელში დაამზადა სამხედრო პროდუქციის შემდეგი რაოდენობა:

ზარბაზნები — 18.000; ნაღმსატყორცნები —30.000; ქვემეხები — 120 მილიონი; ყუმბარები ნაღმსატყორცნებისათვის 15 მილიონი; შაშხანა თოფები — 2 მილიონი; ტყვიამფრქვევები — 120.000; ტყვიები შაშხანებისათვის — 3.340.000.000; ასაფეთქებელი მასალები— 350.000 ტონა.

საერთოდ მარაგის მოთხოვნილება ომში ძალზე დიდია. მაგალითად, წარსული ომის დროს ერთ ბრძოლაში 4 საათის განმავლობაში დაიხარჯა ყუმბარის თითქმის [illegible] მეტი რაოდენობა, ვიდრე მთელი 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის და გერმანიის ქიმიურმა მრეწველობამ მხოლოდ ბოლო წლის განმავლობაში დაამზადა 101.400 ტონა საწამლავი ნივთიერება. და ეს მაშინ, როდესაც ქიმიური მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაში იყო.

ბრძოლის ველზე ჯარის გადაადგილებისათვის, აგრეთვე საბრძოლო მარაგის საჭირო ყველა პროდუქტების მიწოდებისა და ფრონტთან კავშირისათვის საჭიროა საკმაოდ განვითარებული და კარგად მოწყობილი სარკინიგზო ტრანსპორტი.

მებრძოლ არმიათა და მათ მომსახურე ცხოველთა კვებისათვის საჭიროა სასურსათო-საფურაჟო პროდუქტების დიდძალი რაოდენობა და ეს მით უფრო საჭიროა მობილიზაციის დროს, როდესაც სოფლის მუშა-ხელის სიმცირე და მაშასადამე მოსავლის ნაკლებობაა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო [illegible] კრიზისი, ომიანობის შემთხვევაში ეს კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება.

საბჭოთა კავშირის მეორე ხუთწლედის გეგმიანობა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია საგრძნობლად ზრდის საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ეკონომიურ ბაზას.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა არის მშვიდობიანობის პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. მზად ყოველ მომენტში რომ შევხვდეთ ჩვენი მტრების მოსალოდნელ თავდასხმას. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ზრდა განსაკუთრებით ავიაციის და ქიმიის დარგში თამაშობს უდიდეს როლს წითელი არმიის ტექნიკური შეიარაღების საქმეში, გვაძლევს შესაძლებლობას შევაწყობოთ მას მატერიალური საშუალებანი, რასაც მოითხოვს ტექნიკის თანამედროვე განვითარება და თანამედროვე ომის ხასიათი.

ნ. გამრეკლიძე.

საკოლმეურნეო ბაზრობა გალში

25 ნოემბერს ქ. გალში გაიხსნა პირველი საკოლმეურნეო ბაზრობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ აფხაზეთის ყველა რაიონები (გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, კოდორი) მოწყობილია სპეციალური ფარდულები სავაჭროდ ჩამოსულ კოლმეურნეთათვის და ინდ. მეურნეთათვის, გახსნილია სასადილო საპარიკმახერო, ცნობათა ბიურო. კულტ-მომსახურების მიზნით ბაზარზე გახსნილია სამკითხველოები, გამოდის სპეციალური კედლის გაზეთი, მოწყობილია რადიო გადაცემა.

ბაზარი უზრუნველყოფილია ფართო მოხმარების საგნებით. აფხაზეთის სახვაჭრობას, ინვალიდთა კოოპერაციას, სარეწაო [illegible] საკოლმეურნეო ბაზარზე გახსნილი აქვთ სავაჭროები. ფართო მოხმარების საგნები გამოტანილია 400 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო სასოფლო სამეურნეო პროდუქტები 800 ათასი მანეთის. ბაზრობის პირველ დღისავე საგრძნობლად შემცირდა სასოფლო-სამ. პროდუქტების ფასები. მაგ. კილო ძროხის ხორცის ფასი 6 მანეთიდან შემცირდა 5 მანეთამდე, სიმინდის (ფუთი) 35 მან. 20 მანეთამდე და სხვ.

ბაზრობა გასტანს 5 დეკემბრამდე.

ტ. ა—ლი.

ქრონიკა

კოჯორის ელექტროგზის გაყვანა დაიწყო კოჯორიდან

კოჯორის ელექტროგზის გაყვანა დაიწყო კოჯორიდან. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველომ კეცხაზე დაუთმო 12 აგარაკი კოჯორში, რაც საშუალებას უზრუნველყოფს საბინაო ფონდით ყველა მუშებს და ტექნიკოსებს, რომლებიც მუშაობენ ელექტროგზის გაყვანაზე კოჯორიდან თბილისის მიმართულებით. (ადს)

სასწავლო პროგრამები მუშათა სკოლებისათვის

საქართველოს განსახკომის წინადადებით თბილისის განათლების განყოფილებამ დაავალა გამოცდილ პედაგოგ-მეთოდისტებს შეადგინონ სასწავლო პროგრამები ყველა დისციპლინის ხაზით მუშათა პოლიტექნიკური სკოლებისათვის. (ადს)

„სალიტერატურო გაზეთი"

გამოვიდა „სალიტერატურო გაზეთი" № 25.

ახალი დასასვენებელი სახლები

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველომ საქ. სოციალზღვევის კომიტეტისათვის კიკეთში გამოყო 38 ჰექტარი ფართობი დასასვენებელი სახლების და პიონერთა სახლისთვის მოსაწყობად. (ადს)

კრებები და მოხსენებები

— მარქს-ენგელს-ლენინიზმის ინსტიტუტში 28 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება პოლიტეკონომიისა და ლიტერატურის სექციების [illegible] საჯარო სხდომა, რომელზედაც პროფ. კეკელიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია (სოციოლოგიური ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა). შესვლა თავისუფალია.

— 28 ნოემბერს, მწერალთა კლუბში საქ. დრამატურგთა მართავს ოქტომბრის რევოლ. 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს. შესავალი სიტყვა ამხ. გ. ბუხნიკაშვილის. მოხსენება: „ქართული დრამატურგია ოქტომბრის 15 წლისთავზე"—წაიკითხავს ამხ. ბ. ჟღენტი. დრამწრისა და მწერალთა კავშირის წევრების დასწრება თავისუფალია. დასაწყისი საღ. ზუსტ 8 საათზე.

პურისფქვილის გადმოტვირთვა თბომავალ „საქართველო"-დან ბათუმში

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ამხ. ორჯონიკიძის კაბინეტში იწვევს თათბირს შემდეგ საკითხზე: მარქსისტულ-ლენინური სწავლების მიმდინარეობა ლენინის რაიონში. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება. დემეტრაძე, სახაროვიძე, ფრანგიშვილი (ლენრაიკომი), ბუნიატოვა, პურცელაძე, ართმეძე, მელაძე, გოფმანსკი, „26" სახელობის ქარხნის, სარემონტო ქარხნის, დეპოს, სასადგურო მეურნეობის, ტრამვაის, მაუდის ფაბრიკის, ფეხსაცმელის ფაბრიკის და № 1 ტყავის ქარხნის პარტკომების მდივნები და კულტ. და პროპ. განყ. გამგეები, გაზეთ „კომუნისტი"-ს, „ტიფლისკი რაბოჩი"-ს, „ენიკენი"-ის და „პროლეტარი"-ის რედაქტორები ან მათი მოადგილეები.

—:—

27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცკას კადრების განყოფილებაში ამხ. ავეტისოვთან მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ნიკოლოზ დარბაისელი, ავაკ გასპაროვი, ვართან პაპოსიანი, აშოტ არუთინოვი, სამსონ გიორგობიანი, მათე იარალოვა, არსენ მანუკოვი, მოსე გოგიძე, დავით ხუნდაძე და სერგო ზალიევი.

28 ნოემბერს, დღის 2 საათზე საქ. კ.პ. (ბ) აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებაში მოწვეულია თათბირი სამხედრო-საშეფო მუშაობის შესახებ. სავალდებულოა შემდეგ დასახელებულ ამხანაგების დასწრება. ბარბარინსკი (არმიის პოლიტსამმართველო), მიროტაძე (ქართული დივიზიის პოლიტსამმართველო), პიოტრიცი (საქართველოს პროფსაბჭო), ელიაშვილი, შომახია (ქალაქის საბჭო), ხელაშვილი, ხარაძე (თავდაცვა-ავიაქიმი), გოგოლაძე, გიორგაძე (წითელი ჯვარი), მუზაფაროვი (ავტოგზა), ოხიაშვილი (ა.ლ.კ.კ-ის თბილისის კომიტეტი), გაბუნიაძე (თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭო), გორდელაძე, [illegible] (თავდაცვა-ავიაქიმი), რაიკომების აგიტმას განყ. გამგეები, ალკკ -ის რაიკომების სამხედროები, თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოების, წითელი ჯვრის რაიონულ კომიტეტების და ავტოგზის რაისაბჭოების, რედაქციების წარმომადგენლები, შემდეგი ფაბრიკა-ქარხნების პარტკომ., კავშირის, პროფესიული და თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციების და საშეფო ნაწილების წარმომადგენლები: ფაბრიკა მქერავი 1 და 2. მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, „26" სახელობის ქარხანა, სარემონტო ქარხანა და თამბაქოს ფაბრიკა.

ოპერა

27 ნოემ. მე 7 აბონ მე 4 წარმ.	28 ნოემბ. 1 აბონ მე 4 წარმ.	29 ნოემბ. მე 9 აბონ მე 4 წარმ. 6 ხერიდან მონაწ.
ტოსკა	ჰოფმანის ზღაპრები	ტრავიატა

ბილეთები დასადგმელად „წითელი ყაყაჩო" [illegible] ახალი [illegible] ნ 49.

რუსთაველის თეატრი

27 ნოემბ 6 აბ 3 წ	28 ნოემბ 8 აბ 3 წ	9 ნოემბ 5 აბ. 3 წ
ქართა ქალაქი	ქართა ქალაქი	ქართა ქალაქი

მე 3 აბონემენტი სავალდებულოა. გადასახადი უნდა იქნეს შემოტანილი დღის 2 საათამდე დანიშნული რიცხვის ბილეთებისა თეატრის სალაროში. ნ 499

სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის თეატრი

27 ნოემბერი აბონ გარეშე	29 ნოემბერს 7 აბონ. 2 წარ	30 ნოემბერს აბონ გარეშე
ოტელო 24 ნოემბ. ბილეთები ძველ ფასში.	[illegible]	ოტელო

ნ. 498

ამოცანი კინო ოქტომბერი ყ აპოლო ნ. 8. 11	ახალი ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი საქმეები და ადამიანები [illegible]
ოქტომბერი დღისით 12. 1 30 3	[illegible] კომედია შორ და შორიშორ
დამკვრელი ჩამთრის [illegible] 6 30 8 9.30. 11	ამერიკული კომედია ხისწრაფე და მეტეჯა გაროლდ ლოიდის მონაწილეობით
კინო დარბაზი ზამთ. [illegible]	ახალი ექსცენტრიული სურათისა ფინჯანი ჩაი იგ. ილინსკის მონაწილეობით
რ. ლიუქსემბურ. სახ. [illegible]	მხატვრული მოლაპარაკე ფილმი ოქროს მთები
რ. ლიუქსემბურ. სახ. დღისით	[illegible] ფილმი ჩინგის ხანის შთამომავალი [illegible]

სახკინმრეწვი

დღეს ახალი პროგრამა

ჰერში უმჯობესი ქვეშ 3 ნაწ.	ავამიაკი მსგავსი ძაიმენი მწერთან სილოასი.	
ჯამბაზები 3 ჩემპიონი.	მუს. ექსცენტრიკოსები [illegible]	აქტი ჰაერში [illegible]

30 ნოემბერს დღის წარმოდგენა

სალარო ღიაა დილის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

ნ. 497

საქართველოს ს. ს. რ. ლითონ. სარეწაო კავშირის სისტემაში შემავალი. სარეწაო კოოპერ. არტელები „ავეჯი", „წითელი მელითონე" და „კრაოტ სეტკა" თანახმად არტელების წევრთა საერთო კრების დადგენილებისა გაერთიანებული არიან 1932 წლის 15 ნოემბრიდან ერთ სარეწაო კოოპ. არტელში შემდეგი სახელწოდებით:

სარეწაო კოოპ. არტელი

„ფართო მოხმარება"

ამხ. ალექსი მასხარაძის სახელობის.

აღნიშნულ რიცხვიდან სამივე არტელის („ავეჯი", წითელი მელითონე" და „კრაოტ-სეტკა"-ს) აქტივი და პასივი გადადის არტელ „ფართო მოხმარება"-ზე და ეს უკანასკნელია მათი ყველა უფლება-მოვალეობათა მიმღები

კანტორა (გამგეობა) მოთავსებულია ხაზინის ქ. № 7

157 გამგეობა.

ექიმი ლ. ა. ფალავა

შარდ სასქ. სნ. სიფილისი, ვენერიული და კანის მიღება: საღ 6-ნახ-8 ს. კლ ცეტკინის ქ № 148 (რკ. გზის საავადმყოფოს ახლოს) 13—1 228

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი კანის და ვენერიული სნეულებ. მიღ. დილით 8—12 ს. საღამოს 5 7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა" ს პირდაპირ. ტელ. 12-67. 25—1 800

ექიმი დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი, მოშლილობა [illegible] „ბროლსკი- ეზოფაგოსკოპია" პონქაძის ქ. № 9 ყოფ. გოლოვინის—სოლოლაკში) მიღება საღამოს 6—7 საათამდე ტელ. 5 94 25—

სრულიად საქართველოს სოფლის-ლმეურნეობის კომისარიატთან არსებულ სოფ. პროფ. დაწ. საქართველოს ქირდება ბუხჰალტრები რაიონებში სასამსახურო. სტაჟით არა ნაკლებ 3 წლისა

მიმართეთ სამმართველოს მთავარ ბუხჰალტერ ვ. იაშვილს. ლენინის ქ. № 2. სახ. სოფ. საბჭოებიდან, ოთახი 26. საჭიროა წარმოადგინოთ ცნობა უკანასკნელ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. 152

თანახმად არტელ „სტუდი-რემონტი"-ს საერთო კრების დადგენილებისა, უნდა მოხდეს არტელ „სტუდი რემონტი"-ს ლიკვიდაცია

ამიტომ არტელი აცხადებს, რომ იმ ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ, ან თუ შეუძლიათ განცხადონ გამგეობას დღეიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შვიდი დღის განმავლობაში

მისამართი: ორჯონიკიძის ქ. № 19. დილის 10—12 საათამდე. ამ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ იქნება მიღებული.

222 გამგეობა.

საქ. მუშ-ის ცენ. საბჭოს საწარმოო სექტორი ამით აუწყებს ყველა წარმოება-დაწესებულებებს, რომელთაც უკვე აქვთ შემოტანილი საფაბრიკო ხსენებული სექტორის მიერ გამოსაცემ პლაკატზე თავიანთ განცხადებათა დასაბეჭდათ, რომ მათი ეს განცხადებები წარმოადგინონ დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ორი კვირის ვადაში შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპ. № 26 მუშ-ის საწარმოო სექტორი.

იმ დაწესებულებათა პრეტენზიები, რომლებიც თავიანთ განცხადებებს ხსენებულ ვადაში არ გამოგზავნიან, დაკმაყოფილებული არ იქნება

საქ მუშ-ის ცენ საბჭოს საწარმოო სექტორი—ხანან შვილი

611

საქ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფარმაცევტულ ფაკულტეტზე შემდეგ კათედრების გამგებლობაზე

1. ფარმაკო ქიმიური ანალიზი საპროფესორო
2. ბოტანიკა საპროფესორო.
3. რთულ ფარმაცევტულ პრეპარატების ტექნოლოგია დოცენტურა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ თავისი ავტობიოგრაფია, შრომები და განცხადება არა უგვიანეს ა წ 15/XII-სა. მისამართი: ქ თბილისი, მელიქიშვილის ქ № 9. სამედიცინო ინსტიტუტი.

ნ. 500 დირექცია

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. ბ.

კავშირის წიგნაკები

კლემენტი ცხადაიასი. დავით დორიძის. ანტონ ლეჟავას იგის № 38472. გენო [illegible] ანის № 362. არაქსია [illegible] № 15 0531. [illegible] 3425 [illegible] № 2373. კოლა ელიზბარაშვილი, № 162. დომენტი ტყეშელის № 626 ვანო [illegible] № 71400 კოტრათი [illegible] № 317.

მუშკოოპის წიგნაკები.

დავით დოლიძის. თედორე ქანტურაიას № 92. დავით ნემსაძის № 866 კია წიქარაძის № 972. ესტატე ბლუაშვილის № 65 თეკლე ლაღაძის № 297 აგრაფინა ფხაკაძის № 228. ალექსანდრა ახვლედიანის № 842. კატო მუქ.ძის, ათინა კაპანაძის № 2415.

სხვა და სხვა:

ალკკ ბილეთი № 7048075 შალვა მესხის პირადობის მოწმობა № 2 [illegible] საპ ხელო წიგნაკი № 8 ელიზბარ ხეცუ რიანის. საპენსიო წიგნაკი 8 მეტროფანე [illegible] პირადობის მოწმობა 11 ესტატე ბლუაშვილი, სილარიბის და არტელის წევრობის მოწმობა ექვთიმე ძიძიგურის პენსიის წიგნაკი შიო კოჯაძის № 77. პირადობის მოწმობა № 8—76 სასურსათო ბილეთი, სასურსათო ბარათი. ხავთია წიგნაკი ელენე მელქაძის. პირადობის მოწმობა ფილისა [illegible] ჯანმრთელობის ოქმიდა. ავიოქიმის [illegible] ავტოგზის [illegible] კირილე ტვილდიანის ფოტო [illegible] ბულება პირველი სერიის 002023-1 [illegible] სალაროდან თეკლე ფრუიძის. პირადობის მოწმობა 307. [illegible] სავე წიგნაკი № 5401-5402 იაკობ კეპატაძის.

141

ძმების ნაპოს ბახტაძის უდროოდ გარდაცვალების გამო, დაკრძალვა მოხდა ქ. ზონში. [illegible]

ნადუშა ერასტის ას. ლეფონავას უდროოდ გარდაცვალების 21 ნოემბერს, დასაფლავება [illegible] 214

[illegible] ნადუშა ლეფონავას გარდაცვალებას. 214

[illegible] მიხეილ კოხრეიძის უდროოდ გარდაცვალებას [illegible] 27 ნოემბერს 4 ს. [illegible] ქუჩა № 1. 219

[illegible] მიხა სპირიდონის-ძე კოხრეიძის უდროოდ დაღუპვას. დასაფლავება დღეს, 27 ნოემბერს, ვერის სასაფლაოზე 227

[illegible] პატარა რობერტის უდროოდ დაკარგვის გამო. 216

[illegible] რობერტის გარდაცვალების გამო. 216

აპოლონ გოგოლაძე ცოლით [illegible] ვასილ ბესარიონის-ძე კერძევაძის [illegible] 2.5

[illegible] ვასილ კერძევაძის უდროოდ დაკარგვის გამო [illegible] 27 ნოემბერს 4 საათზე. [illegible] 2 3

[illegible] მარიამ ბაგრატის ას. თარხნიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. [illegible] 2.6

[illegible] პატარა ლიზიკოს უდროოდ გარდაცვალებას. 232

[illegible] ნაპოს ბახტაძის [illegible]

დედა ნინო ალექსანდრეს ასული, ძმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [illegible] იუწყებიან მათთვის ძვირფასი ივანე ნიკოლოზის-ძე სავინაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება [illegible] № 4 დღეს 27 ნოემბერს 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 2—2 191

[illegible] ვანო სავინაშვილის უდროოდ დაკარგვას. 192

[illegible] კატუშა ქვრივიშვილი გიორგინის გარდაცვალებას. [illegible] დღეს 7 ს. [illegible] № 7 დაკრძალვა 29 ნოემბერს 4 ს. [illegible] სასაფლაოზე. 229

[illegible] ვლადიმერ როსტომის-ძე ხურცილავას უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება [illegible] 216

[illegible] ნინა კონდრატეს ას. ძაძამიას [illegible] 231

[illegible] მარგალიტას გარდაცვალებას. გამოსვენება 27 ნოემბერს 4 ს. [illegible] № 21 დაკრძალვა [illegible] სასაფლაოზე. 224

[illegible] ირას (აუკური) უდროოდ დაკარგვის გამო. 223

[illegible] მიშას უდროოდ გარდაცვალების გამო 226

[illegible] ვასილ კერძევაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 221

[illegible] ვლადიმერ ხარლამპის-ძე ალექსიძე [illegible] 7 საათზე [illegible] № 5 28 ნოემბერს 5 საათზე. 233

[illegible] შოთა ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო [illegible] 24 ნოემბერს [illegible] 225

საქართველოს კომუნალური ბანკი აცხადებს

თანახმად [illegible] ბანკის კლიენტებს, რომლებსაც [illegible] 1 დეკემბრისათვის 1932 წ. [illegible] ბანკის № 5ა ფორმები [illegible] 5 დეკემბრისა მიმდინარე წლისა.

[illegible]

2—1 ნ. 465

სტამბა „კომუნისტი" 1932 წ. კამოს ქუჩა № 6[illegible]

მთავლიტის რწმუნებული ა 1218